ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 9 № 78
წელიწადი მეხუთე

ოთხშაბათი 1919 წ. აპრილის 9 № 78
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მანეთი

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერმოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

10 აპრილს, 12 საათზე
ფაშნარის ძმათა სასაფლაოზე
ოზურგეთთან ოსმალებთან ბრძოლის დროს
დახოცილ მეომართა
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ საზოგადოებას ოზურგეთის ერობის გამგეობა ქალაქის თვითმართველობა და ძეგლის ამგები კომიტეტი
2—2283—1

დავით და გიორგი ნიკოლოზის ძენი ნინა ივანეს ასული ამირეჯიბნი, ანნა ნიკოლოზის ასული და პავლე როსტომის ძე ყიფიანი, ელენე ნიკოლოზის ასული და გიორგი დიმიტრის ძე დიდებულიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ქ. გორში საკრებულო ტაძარში დანიშნულია ოთხშაბათს 9 აპრილს დილის ათ საათზედ წლის წირვა და პანაშვიდი
ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის
ამირეჯიბის
სულის მოსახსენებლად.
(1—2282—1)

რესტორანი პარიზი რესტორანი
ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)
სრულიად ახლა გადაკეთებული
ცალკე მოწყობილ დარბაზებით
გაიხსნა 14 მარტიდან
მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.
საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული
საგანგებო ყავა-ხანა
◆◆◆ ფასები ზომიერია ◆◆◆
საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)
სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.
25—32—18 პატივისცემით: ს. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

ლეკურის კურსები
მსახიობ
ელო ანდრონიკაშვილისა
1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.
ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.
25—39—12

კონსერვატორიის დარბაზი
17 აპრილი
ტიციან ტაბიძის
პოეზიის საღამო

სახელმწიფო თეატრი
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა
დღეს, 9 აპრილს, წარმოდგენილი იქნება
ბოკაჩიო
ხვალ, 10 აპრილს „აბესალომ და ეთერი“, 12 აპრილს „ბატერბლეი“ და „მეფისტოფელი“.
დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

იყიდება
ოსმალური აბრეშუმის თესლი
სულ ახლა მოტანილა
კონსტანტინოპოლიდან
ცისამართი: პუშკინის ქ., ქარვასლა კაფე—„გრეცია“. იკითხეთ ა. პანაიოტი.
4—2277—2

მედიცინის დოქტორი
ა. გ. მაჭავარიანი
ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.
60—2171—18

სამუსლიმანო საქართველო

/ ბათუმის გაზეთ „სამუსლ. საქართველოს“ 2 აპრილის ნომერში დაბეჭდილია მეტად საყურადღებო წერილი ბათუმის მხარეს მდგომარეობის შესახებ. ამ კუთხის დროებით დაჭერას ინგლისელთა მიერ მთელი ქართველი ერი გულმშვიდად მიეგება, რადგან ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ ინგლისი თან მოიტანდა ამ მხარეში მიუდგომლობას და სამართლიანობას. სამწუხაროდ დღემდის ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. პირველი დღიდანვე ინგლისელ გუბერნატორის მფარველობის ქვეშ მმართველობის სათავეში მოექცნენ რუსეთის შავი რეაქციის ბნელი აგენტები, რომელნიც დაუცხრომლად და ალვირწახსნილად მუშაობენ, როგორც თავისუფლების ჩასაქრობად ამ კუთხეში, აგრეთვე ქართველობის შესავიწროებლად და შესაწუხებლად. შეიქმნა ახირებული მდგომარეობა. ქართველობა და მასთან მთელი პროგრესიული ნაწილი მცხოვრებთა მოთმინებით უყურებდა რუსის რეაქციის აგენტების თარეშს, ითმენდა არა იმიტომ რომ ეს თარეში ასატანი და მოსათმენი იყოს. არამედ ამიტომ რომ ვფიქრობდით, დღეს თუ ხვალ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი თვალს გაახელს და ალაგმავს მისივე ნება ყოფლობით გალაღებულ შავრაზმელებს. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. ბათუმი და მისი მხარე გადაიქცა შავრაზმელ რუსთა ალთქმულ ქვეყანად. ყოველი მხრიდან როგორც ყორნები ლეშისკენ, ისე მიეშურებიან ბათუმისკენ და აქ ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ ჩვენ თვალწინ შეთქმულობას აწყობენ.

ასი წლის მონობამ ქართველობა მოთმინებას შეაჩვია. მაგრამ ამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ჩვენთვის აუტანელია ჩვენს ქვეყანაში ხდებოდეს ჩვენი თავისუფლების დაუძინებელ მტერთა მობილიზაცია, ჩვენ თვალ წინ ილესებოდეს ჩვენი დასაკვლელი დანა.

ქართველებს ერთი დიდი ნაკლი გვაქვს, არ გვიყვარს ჩვენს ღირსებაზე ყვირილი, არ გვიყვარს ჩვენს დამსახურებაზე ხმაურობა. თორემ ჩვენ რომ სხვებს ცოტაოდნად მაინც მივბაძოთ და სიმართლის ფარგლებშიც დავრჩეთ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ თუ დღეს არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში ადამიანს ცოტაოდნად სული მეთქმება, წესიერება და სიმშვიდე სუფევს, ეს არის ქართველთა პოლიტიკის და ბრძოლის შედეგი. და თუ ეს მართალია, საჭირო მეზობლებმა თუ მოსულებმა ანგარიში გაგვიწიონ და ელემენტარულ სამართლიანობას არ უღალატონ. ვფიქრობთ აგრეთვე დროა ქართველმა საზოგადოებამ ხმა აამაღლოს და დროზე შეეცადოს ბათუმის არემარეზე ბნელ ძალების მოგროვებას ხელი შეუშალოს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ სომეხთა, ბერძენთა და სხვა ერთა პროგრესიული ელემენტები სალად გასჭვრეტენ თავიანთ მომავალს, ისინიც ჩვენთან იქნებიან. აგრეთვე დროა მუსლიმანმა ქართველებმა ხმა აიმაღლონ თავიანთ კერის დასაცველად, თორემ ბნელი რუსთა ძალა უკვე შეუდგა თავის გამოცდილ საშუალებას და უკვე ემზადება ქობულეთის მიწები ხელში ჩაიგდოს, შემდეგ სხვა კუთხეებსაც წვდება და მუსლიმან ქართველებს იმავე ბედს უმზადებს, როგორიც ეწია ყირიმს და ჩერქეზეთს, სადაც დღეს ადგილობრივი მცხოვრები ფარნით საძებარია. ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მთელი ქართველი ერი მათთან ერთად იქნება. საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ერის მტერნი ცდილობდნენ ქრისტიან და მუსულმან ქართველების გათიშვას, ერთმანეთზე გადამტერებას და დაშორებას. მაგრამ ამაოთ ჩაირა მათმა ცდამ. არ გამოდგა ისეთი ძალა, რომელსაც შესძლებოდა ქართველ ერის დარღვევა, თუმცა ქვეყნიერებას არ უნახავს დესპოტიურ რუსეთის, მონგოლების და ოსმალოების უფრო უხეში და უსასტიკესი მომსპობნი სხვა ხალხთა. დღეს კი, როცა ეს დიდი განსაცდელი გამოვიარეთ, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდა, როცა შეგნება და სწავლა-განათლება ყველასთვის მისაწდომია, დღეს ქართველი ერი, მიუხედავად სარწმუნოებრივ სხვა და სხვაობისა თავის წრეში, გამოდის როგორც ერთი პიროვნება, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს საერთაშორისო ოჯახში და არც არავის ნებას მისცემს შელახოს მისი სამართლიანი უფლებანი.

პეტრე სურგულაძე.

ადმინისტრაციისა და სასამართლოს უქონლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება უკვე შეუდგა მუშაობას. განახლებულ საქართველოს თითქოს უზენაესი ძალა-უფლებით აღჭურვილი ორგანო გაუჩნდა, მაგრამ, საუბედუროთ ჩვენ ანარქიულ საშინაო პოლიტიკას ეს არაფრად ეტყობა. გრძელდება თვითნებობის ბატონობა, პიროვნების უპატივცემლობა, უპასუხისმგებლო პირთა მართვა გამგეობის საქმეებში ჩარევა და სხ. ერთი სიტყვით, დამფუძნებელი კრების ხმამ ჯერ ჯერობით სრულიადაც ვერ შეარყია ის პოლიტიკური ჭაობი, რომელსაც ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს.

ვიძახოდით და ვიძახით—არა გვაქვს სასამართლო, არა გვაქვს ადმინისტრაცია. ვიზრუნოთ ამის შექმნისთვის, თორემ ასეთს ანარქიაში სახელმწიფო არ შეიქმნებაო. ამაზე მმართველი პარტია მუდამ გვიპასუხებდა—ჯერ კიდევ რევოლიუციონური ნგრევა გრძელდება. აი შეიკრიბება ქვეყნის უზენაესი პატრონი—დამფუძნებელი კრება და ის შეუდგება დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებასო. დამფუძნებელი კრება უკვე მუშაობს, მაგრამ კიდევ გრძელდება მართვა გამგეობაში ანარქია და თვითნებობა, კიდევ გრძელდება უპასუხისმგებლო მუშაობა ყოველ დარგში და დამფუძნებელ კრებას ჩვენი პოლიტიკის ავგიოსის თავლების წმენდა ჯერ კიდევ არ დაუწყია.

ერთად ერთი, რითაც აღნიშნა მმართველმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამფუძნებელი კრების მოწვევის გამო ახალი პოლიტიკური ვითარების დამყარება, ეს ის იყო, რომ მან თავის პარტიულს ამხანაგებს მიმართა: აქამომდე თქვენ ყველაფერში ერეოდით. სასამართლოს საქმეებზედაც ახდენდით ზედგავლენას, ადმინისტრაციის მუშაობაშიც ხელს ურევდით, ერთი სიტყვით მართვა-გამგეობის ყოველს დარგში „რევოლიუციონურს კანტროლს“ ამყარებდითო. ამიერიდან ამას აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი, ვინაიდან ქვეყნის ნამდვილი ბატონი—დამფუძნებელი კრება უკვე შესდგაო და სხ. ჩვენ არ ვიცით, ეს გულწრფელი რჩევა იყო მმართველი პარტიისა, თუ ერთგვარი პოლიტიკური ფანდი, ხომ ხედავთ ზევიდან ვცდილობთ სახელმწიფოს შენების დაწყებას, მაგრამ ხალხი, დემოკრატია ქვევიდან ჯერ კიდევ არ გვაძლევს ამის ნებას, ვინაიდან რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულაო. ყოველს შემთხვევაში, იქვე არ არის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ზევიდან ნათქვამი სიტყვა ქარმა წაიღო და მისთვის ანგარიში არ გაუწევიათ არც აქ და არც პროვინციაში.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოგვდის სამწუხარო ამბები. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ადგილობრივ აგენტების თვითნებობას საზღვარი არ აქვს. ისინი არიან ადმინისტრაცია და სასამართლოც. მათ საწინააღმდეგოს ვერაფერს ბედავენ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი. ვინც მათი პარტიის არ არის, მათთვის არ არსებობს არავითარი მოქალაქობრივი უფლება, მათი პიროვნებისა და თავისუფლების დამცველი არ არის არც ადმინისტრაცია არც სასამართლო მათგან გაუქმებული და გაბათილებული. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის აგენტები, როგორც სჩანს, დამფუძნებელ კრების არჩევის შემდგომ კიდევ უფრო გააფთრებულან! რით აიხსნება ეს მოვლენა? დამფუძნებელი კრება ხომ თითქმის სავსებით სოციალ-დემოკრატიული შეადგინეს. აქა-იქ თუ გაერია თითო ოროლა სხვა პარტიებიდან. ალბად ისინი განრისხებული არიან იმ გარემოებით, რომ არჩევნების დროს მათ წინააღმდეგობას უწევდენ სხვა პარტიების მიმდევარნი და ხშირად, მათის აზრით, საკმაო პატივითა და თავაზიანობით არ ექცეოდენ ამ დამსახურებულს გვამებს და ამიტომაც დღეს მათ წინააღმდეგ შურს ძიობენ.

ასეა თუ ისე, ამ ვაჟბატონების თვითნებობას საზღვარი არ აქვს და ზევიდან გადმოსროლილმა სიტყვამ, თქვენს კანში დაეტიეთ და სხვის საქმეებში ნუ ერევითო, სრულიად უშედეგოდ ჩაიარა. რა ზომებს ღებულობს მთავრობა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეთათვის აღდგენილი იყოს კანონის ძალა, რომ მთავრობა-გამგეობის წინაშე თანასწორი და სწორ-უფლებიანი იყოს ყოველი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, მდგომარეობისა და პარტიული რწმენა-შეხედულებისა?

ნუ თუ ასეთს საშინელებას დასასრული არ უნდა ჰქონდეს?

მაგრამ ასეთი თვითნებობა და ანარქია აუტანელი ხდება არა მარტო პარტიულ ხალხისთვის. ის მძიმე ტვირთად აწევს ერის დიდს უმრავლესობას, რომელთაც პარტიობის არაფერი გაეგებათ და არ სწამთ. ყველა მათგანი შეიძლება გამოცხადდეს მმართველი პარტიის მოწინააღმდეგეთ, კონტრ-რევოლიუციონერად და მოღალატეთ. ამის შემდგომ კი აღარ იქნება მათთვის გაკითხვა და სამართალი.

მმართველი პარტიის წვრილფეხა აგენტების ასეთს უპასუხისმგებლო თარეშს ადგილი აქვს არა მარტო შორეულს მივარდნილს კუთხეებში, არამედ აქაც, სადაც სხვა და სხვა ჯგუფები და პიროვნებანი, რომელთაც არავითარი საადმინისტრაციო ან სასამართლო მოვალეობა არა აქვთ დაკისრებული, ვისაც უნდათ დაიჭერენ გასჩხრეკენ, თავისუფლებას მოუსპობენ, და სხვა ასეთი ბარბაროსული წესები მყარდება ჩვენს ცხოვრებაში და ამის წინააღმდეგ არ იღებს ზომებს არც მთავრობა და არც უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება.

სკოლის რეორგანიზაციისათვის

რუსეთშიაც ყველა ახლად დანიშნული განათლების მინისტრი თავის საპროგრამო სიტყვაში სკოლის სასურველ რეორგანიზაციის საკითხს მომავალ სამუშაოს ქვა-კუთხედად აღიარებდა. და მართლაც ფუსფუსი და მუშაობა ამ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ შეუწყვეტლად და გაუნელებლად სწარმოებდა ჩამორჩენილ და რეაქციონულ რუსეთშიაც, მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების სინამდვილე, მის შემქნელ-ხელმძღვანელთა შეგნებული ბრძოლა ყოველივე თავისუფალ ჰუმანიური სკოლის წინააღმდეგ ხელს უშლიდა იმ გეგმების განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას, რომლებიც სამინისტროს ინციატივით და მცოდნე პირთა მონაწილეობით შემუშავდებოდა ხოლმე. სკოლა ისევ ისე რჩებოდა პოლიტიკის მსახურად, მას ისევ ისე იარაღად იყენებდნენ განსაზღვრულ, ხალხისთვის მავნებელ, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური იდეათა განსამტკიცებლად.

ჩვენს განთავისუფლებულ საქართველოში, სადაც სკოლები რუსული სულით იყო გაჟღენთილი, სადაც რუსიფიკატორულმა ექსპერიმენტებმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, სადაც ყოველივე ეროვნული გრძნობა-მისწრაფება ითელებოდა და სადაც ელემენტარული საღი პედაგოგიური და ადამიანური პრინციპი ბარბაროსულ პოლიტიკას ემსხვერპლებოდა,—მით უფრო მოსალოდნელი და ბუნებრივი იქნებოდა, რომ სამინისტრო პირველ რიგის საკითხად, დაუყონებლივ და ინტენსიურ სამუშაოდ და სამოღვაწეოდ ქართულ ტერიტორიაში რუსული სკოლების რეორგანიზაციას დაისახავდა. მაგრამ სავალალოდ, ეს ასე არ მოხდა. არ ვიცი, რა უფრო კორდინალური, მძიმე და გადაუდებელი საკითხები ჰქონდა სამინისტროს, რომ იგი მხოლოდ ამ რამოდენიმე თვის წინად შეუდგა ამ საჭირ-ბოროტო საკითხის განხილვას. ამ უმიზეზო და გაუმართლებელ დაგვიანებასაც თავი რომ დავანებოთ, განა ჩვენს სამინისტროს შეშვენის და ეპატიება ეს საქმე აწარმოოს იმ ძალებით, იმ ტეხნიკით, იმ ენერგიით და მაშტაბით, რა ძალებით და ხერხით ის დღეს ამას აწარმოებს? ამ საშვილის-შვილო და პირველ ხარისხოვან ეროვნულ საქმის წმინდა ბიუროკრატიულის სახით მოგვარება და გადაწყვეტა წარმოსადგენი და შესაძლებელია დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკაში? წარმოუდგენელია, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში! ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ შესდგა კომისია თბილისის სასწავლებლების დირექტორებისაგან და მასწავლებელთა კორპორაციის თითო წარმომადგენელთაგან სამინისტროს წარმომადგენელის თავმჯდომარეობით; ვიცით, რომ ეს კომისია სი-

უკანასკნელი ცნობები

საზავო კონფერენციის დაარსებას სააღდგომოდ მოელიან.

უკრაინის საბჭოთა ჯარმა ადესა აიღო.

აღმოსავლეთ გალიციაში აჯანყება იზრდება. მთავრობის ჯარი აჯანყებულთა მხარეზე გადადის.

დასავლეთ გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.

ფრანკფურტსა და შტუტგარტში სასტიკი ბრძოლაა მთავრობისა და მეამბოხეთა შორის.

სტავროპოლის მიმართულებით ბოლშევიკები ბრძოლას აწარმოებენ.

ისპანიამ ხალხთა ლიგაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა.

ლიბავაში მუშათა აჯანყება დაიწყო.

რურის ოლქში მუშათა საერთო გაფიცვები გამოცხადდა.

სტემატიურად იკრიბება და მოისმინა რამოდენიმე მოხსენება. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ უმრავლესობას ამ კომისიისას სხვა ტომის პირნი წარმოადგენენ, უმცირესობას—ქართველები; რომ უკანასკნელები უფრო გულგრილობას იჩენენ, ვინემ პირველნი; რომ კრებებზე სჯა-ბაასი, საქმის წარმოება, კამათი რუსულ ენაზე სწარმოებს; რეფერატებიც რუსულად იკითხება და სხვ. დღემდის რა ნაყოფი მოიტანა ამ კომისიის მუშაობამ, ჩვენ, არ ვიცით: გაზეთებში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა. სჩანს, უწინდებურად ეს ცოცხალი საქმე კაბინეტში ჩაუმწყვდევიათ და ბიუროკრატიულად აულაგმავთ.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ ასე დაწყებულმა და ასეთ პირთაგან წარმოებულმა საქმემ რამე დიდი სარგებლობა მოუტანოს ქართულ სკოლას და ქართველ ერს. წარმოვიდგინოთ, რომ ამ კომისიაში მონაწილე ქართველ დირექტორების უმრავლესობამ უკუ აგდო საბოლოოდ ძველი გზა და მიმართულება, განიწმინდა რუსიფიკატორულ სისტემის ხინჯისაგან, გულში აღინთო ჩამქრალ ჩაფერფლილი ალი სამშობლოს სიყვარულისა და მზად არის მტლად დაედოს განახლებულს, განთავისუფლებულს საქართველოს. წარმოვიდგინოთ, რომ იგი თავისი წარსულის მოღვაწეობით და მოქმედებით, თავისი გონებრივი და პედაგოგიური ავლა-დიდებით ისეა მომზადებული და დატვირთული, რომ ადვილად შესძლებს ჩვენს სკოლას გადუშალოს დიადი პერსპექტივები, საბოლოოდ და უკლებლივ განაახლოს იგი, სულყველიფერი ეს, რაც ჩვენდა სამწუხაროდ სინამდვილეს არ შეეფერება. წარმოვიდგინოთ, რომ მართალია, უცილობელი ფაქტია. ამ შემთხვევაშიაც, რა უნდა მოაგვარონ და რა უნდა გააკეთონ ქართველებმა იმ ინტერნაციონალურ კრებულში, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა,—ფორმალურად საქართველოს არა ქვეშევრდომი, იდეიურად მისი თავისუფალ არსებობის დაუძინებელი მტერი,- რასაკვირველია, სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოს და მისი სკოლის ბედით. და მხოლოდ გულის ფანცქალით მოელოდა და დღესაც მოელის რუსის ძლიერების და ბატონობის დაბრუნებას და დამკვიდრებას საქართველოში?! ნუ თუ ამათის უმთავრესის მონაწილეობით სურდა სამინისტროს გადაეწყვიტა ეროვნული არსებობის ერთი უდიდესი პრობლემა? რასთანა გვაქვს საქმე: უბრალო, ჩვეულებრივ მოუფიქრებლობასთან, თუ რაღაც ჩვენთვის მიუწდომელ, უმაღლეს პოლიტიკურ სიბრძნესთან?!

უცხო ტომის წარმომადგენლების თანამშრომლობა, მათი ცოდნა, გამოცდილება და პრაქტიკული უნარი ჩვენთვის, შეიძლება, დღესაც იყოს საჭირო სხვა და სხვა ტეხნიკურს და პროფესიონალურს სფეროებში. ამის წინააღმდეგ რა გვეთქმის. მაგრამ მათი ჩარევა ისეთს არსებითად ეროვნულ საშვილიშვილო და სახელმწიფოებრივ საქმეში, როგორც მოზარდ თაობის აღზრდა-გმნვითარების საქმეა, შეუწყნარებელი და მიუღებელია.

ნუ თუ სამინისტროს არ შეეძლო ეს საქმე სხვანაირად, სხვა შემადგენლობით და გეგმით მოეწყო? სხვა წრეები და სხვა დაწესებულებებში ამოერჩია საჭირო და სასურველი პირები? რა მაინც და მაინც, დღევანდელ ჩვენი სკოლის ფაქტიურ მდგომარეობაში, მხოლოდ დირექტორ მასწავლებლებიდგან შეადგინა ეს კომისია? ნუ თუ მან წინდაწინ ვერ გაითვალისწინა ამ უკანასკნელის შემადგენლობა? და თუ გაითვალისწინა, ნუ თუ ამ შემადგენლობის მოქმედებიდგან ნაყოფიერ და მიზან შეწონილ მუშაობას მოელოდა?!

იპ. ვართაგავა.

პ რ ე ს ს ა

ფედერალისტები და ნაციონალიზაცია.

ორი დღის წინ ფედერალისტების მაქსიმალისტები მოითხოვდენ საქართველოს სახელმწიფოს აშენებაზე ხელის აღებას. მაგრამ როგორც ყოველთვის ამ ახალ კომუნისტებს უკან დასახევი გზები გამზადებული აქვთ. ქართულმა პრესსამ და თვითონ კომუნისტებმა უკვე მოასწრეს ფედერალისტების რევოლუციონური კორიანტელის გაბნევა და ფედერალისტები თან-დათან ჭკუაზე მოდიან.

მორიგ ნომერში „სახალხო საქმე“ ეხება ნაციონალიზაციის საკითხს და კერძოთ რკინის გზის მინისტრის განკარგულებას რკინის გზებზე ნაციონალიზაციის შეჩერებას და შემდეგს სწერს:

> სამწუხაროდ ამ ბოლო ხანს ისევ დაიწყო ქანაობა და მერყეობა. ჩვენ არამც თუ არ განვაგრძობთ დაწყებულ საქმეს და არ ვანვითარებთ, არამედ იმასაც ვსპობთ და ვაფერხებთ, რაც დაწყებულია და კთდება ამ მხრით ძლიერ საკვირველია გზათა სამინისტროს ახალი მეთაურის ბ-ნ ხომერიკის უკანასკნელი განკარგულება: ნაციონალიზაცია შეაჩერეთ რკ. გზებზეო. რას ნიშნავს ეს? რისთვის დასჭირდათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა? დამფუძნებელი კრება საქართველოს დამოუკიდებლობის განამტკიცებლად წარმოგვიდგენია და არა მის შემრყეველად. ამიტომ, სხვა რომ არა-იყოსრა, უცნაურია დამფუძნებელი კრების პირველ სამინისტროს ზემოხსენებული განკარგულება. ეს ჰქმნის გაუგებლობას, ჩვენს მტრებს ახარებს, მეგობრებს კი აღონებს. მტრები ჰხედავენ ამაში ჩვენს დამარცხებას და მათ გამარჯვებას, ძველი ბატონობის დაბრუნების მოახლოებას. ხოლო ხალხი შიშს გრძნობს—რაღაც და ვიღაც ბრძანებლობს, ჩვენი თავი ჩვენვე აღარ გვეკუთვნისო. ამნაირად იკარგება რწმენა ხვალინდელის დღისა და ჰქმნის ქართველი ერის ერთგულ დარაჯებში სულიერ დეზორგანიზაციას.

თავისთავათ ამ შენიშვნას აქვს აზრი, მაგრამ რა გავლენა უნდა მოახდინოს იმის შემდეგ როცა ფედერალისტები მოითხოვენ სახელმწიფოს დანგრევას? არავის არ აქვს გარანტია რომ ფედერალისტები მეორე დღეს არ გამოექომაგებიან უადგილოთ დარჩენილ რუსებს?..

ყოველ შემთხვევაში ამას ავალებს მათ მემარცხენეობა და კომუნისტობა...

ასე სახიფათოა მაქსიმალიზმით თამაში ფედერალისტების ახალგაზრდებისთვის.

ბათომ-ნატანების რკინის გზის ბედი

აპრილის 6-ს გარეშე საქმეთა მინისტრმა და ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბათომ-ნატანების რკინის გზის ექსპლატაციისთვის ხელშეკრულება დასდეს, რომელიც უმთავრესად შემდეგში გამოიხატება:

ლიანდაგი ნატანებიდან დაწყებული ვიდრე ბათომის აღმოსავლეთ სემაფორამდე გადადის საქართველოს გზათა . სამმართველოს გამგებლობაში. საქართველოს რკინის გზებზე მოქმედი ყველა წესები მასზედაც ვრცელდება.

ყოველგვარ მოძრაობას (როგორც ადგილობრივი ხასიათისას ისე სხვა რესპუბლიკებთან) სახალხო და საბარგო მატარებლებისას აწარმოებს საქართველოს მთავრობა, ხოლო განკარგულებანი ამ საქმეზე უნდა გატარდეს ბრიტანეთის რკინის გზის წარმომადგენლის უმეშაო კონტროლში.

შემოსავალი მთლიანად გადადის საქართველოს მთავრობის ხელში, რომელიც ამ რკინის გზების გამოყენებაში ბრიტანეთის მთავრობას განსაზღრულ ფასს უხდის.

ხელშეკრულება ძალაშია 1919 წ. აპრილის 15-დან. ამ ხელშეკრულებაში ლაპარაკია მხოლოდ რკინის გზების გამოყენებაზე და იგი სრულებით არ ეხება საკუთრებას, რომელიც ამ რკინის გზების სფეროში არის.

ქრონიკა

◆ **მაისის დღესასწაული.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ გადასწყვიტა 26 მაისის (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) დღესასწაულის მოწყობა. ამისათვის კომისიამ მიჰმართა სხვა და სხვა კულტურულ საზოგადოებათ.

◆ **ამერიკელ ინსტრუქტორთა და და ექიმთა საპატივცემულოდ.** კვირას ქართულ კლუბში ამერიკიდან ჩამოსულ ექიმთა, ინსტრუქტორთა და მოწყალების დათა საპატივცემოდ გაიმართა სადილი ,რომელშიაც მონაწილეობას იღებდა საქართველოსა და სომხეთისა და სომხეთის ლტოლვილთა კომიტეტების წარმომადგენელნი.

◆ **ამერიკელ ინსტრუქტორთა წასვლა.** ორშაბათს 7 აპრილს ამერიკელი ინსტრუქტორები და მოწყალების დები საგანგებო მატარებლით ერევანში გაემგზავრნენ.

◆ **გემი ოდესიდან.** ფოთიდან მთავრობას ატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში ოდესიდან მოსულა გემი, რომელსაც 300-დე კაცი მოუყოლია. მათ არავითარი დოკუმენტები არა აქვთ. ითხოვენ განკარგულებას თუ როგორ მოექცენ მათ.

◆ **ლტოლვილთა დაბრუნება.** ამ მოკლე ხანში მოწესრიგდება ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთა საქმე. დაიწყება მათი დაბრუნება ახალქალაქის მაზრაში.

◆ **გამოფენა.** 6 აპრილს გაიხსნა სომეხ-მხატვართა ნაწარმოებთა გამოფენა. გამოფენაზე შესვლა პირველ დღეს ღირდა 20 მანეთი. პირველ დღეს მივიდა 100 მნახველი, გაიყიდა სურათები, 20,000. მ.

◆ **ხატისოვის ჩამოსვლა.** შაბათს 5 აპრილს თბილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის დროებით თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.

◆ **ნ. ნ. ჟორდანიასთან.** კვირას 6 აპრილს ა. ი. ხატისოვმა ინახულა ნ. ნ. ჟორდანია, და სომხეთის მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა.

◆ **გენერალ ტომსონთან.** ორშაბათს 7 აპრილს ხატისოვი წარუდგა გენერ. ტომსონს და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი.

◆ **აშუღ ყარიბი.** ხუთშაბათს, 10 აპრილს არტისტიულ საზოგადოების თეატრში პირველად ქართველ მსახიობთა მიერ ქ-ნ ტასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის, ნატ. ჯავახიშვილის, ბ-ნ ვასო აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „აშუღ ყარიბი“ 4 მოქ. და 7 სურ. მუსიკით, ცეკვით, სიმღერით და კუპლეტებით. ყარიბის როლს შეასრულებს ს. მაღალოვი. ორკესტრს დირიჟორობს ცნობილი მეთარე „სიმონა“. ამ მოკლე ხანში იგივე დასი ამავე პიესით მიემგზავრება პროვინციებში გორიდგან სოხუმამდე.

◆ **საკოდიფიკაციო განყოფილებაზე.** როგორც გავიგეთ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების საქმის მწარმოებელი არ. ახნაზაროვი თანამდებობას თავს ანებებს. მის მოადგილედ ბ. დადიანს ასახელებენ.

◆ **პირველი ქართული ლატარიის** გამგეობა ჰსთხოვს თავის აგენტებს უახლოეს ხანში წარმოადგინონ ანგარიში ლატარიის კანტორაში.

◆ **„შევარდენის“ საზოგადოებაში.** ორშაბათს, 7 აპრილს მინისტრ ხომერიკმა დაათვალიერა ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“. მინისტრი კმაყოფილი დარჩა ბავშვთა და მოზარდთა ვარჯიშობით.

◆ **განათლების მინისტრის ამხანაგი.** სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად დამფუძნებელ კრების წევრი ნ. ცინცაძე დაინიშნა.

◆ **მთავრობის თავმჯდომარესთან.** კვირას, 6 აპრილს მთავრობის თავმჯდომარეს სახელმწიფო დაწესებულებათა დელეგაცია წარუდგა. დელეგაციამ მოახსენა მთავრობის თავმჯდომარეს მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება. მთავრობის თავმჯდომარემ გულდასმით მოისმინა მათი თხოვნა და სათანადო დახმარებაც აღუთქვა.

იუსტიციის სამინისტროში.

სადილი იუსტიციის მინისტრის ხაპატივცემლოდ. ორშაბათს, 7 აპრილს ი. ბარათაშვილის ბინაზე ყოფილ იუსტიციის მინისტრ მესხიშვილს გაუმართეს გამოსათხოვარი სადილი. სადილს დაესწრნენ აგრეთვე ყოფილ მინისტრის ამხანაგი გველესიანი და ახალი მინისტრი გეგეჭკორი.

— **თანამდებობიდან გადადგომა.** ლაგოდეხის უბნის გამომძიებელი ვ. ყიფიანი თანამდებობიდან გადადგა.

— **შტატების შემცირებისათვის.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ იუსტიციის სამინისტროს წარმოუდგინა მოხსენება, სასამართლოს შტატის შემცირების შესახებ.

— **პროკურორის ახალი ამხანაგები.** თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგებად დაინიშნენ პ. ი. პრელიპკო და კ. ო. მოძალინსკი, რომელნიც დათხოვნილი იყვნენ ყოფილ მინისტრ მესხიშვილის განკარგულებით გაეროვნების გამო.

პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები. დაარსებული ალ. გ. საათაშვილის მიერ, სახალხო განათლების სამინისტროს ნება-დართული, წელს დაამთავრეს შემდეგმა მოწაფეებმა: მახარაძემ ა. ტ., ბოკერიამ კ. ლ., ანანიაშვილმა ო. ვ., სურგულაძემ გ. ი., ფეტელავამ გ. თ., კეკელიამ დ. ლ., გამყრელიძემ ნ. ნ., რამიშვილმა ვ. ო., ცხომელიძემ ი. ო. და ფუტკარაძემ ა. გ. გამოცდას დაესწრნენ, სხვათა შორის, სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები, რომელთაც საუკეთესოთ მომზადებულად სცნეს მოწაფენი.

შეცდომის გასწორება.

კვირის ნომერში მეთაურში დაშვებულია შემდეგი შეცდომები: სიტყვა **დამთავრების** მაგივრად უნდა ეწეროს **გაბათილება. უმარილოს** მაგივრად **უმართლო.**

სამხატვრო ქრონიკა.

ტიციან ტაბიძის სამხატვრო ხალამო. 17 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ტიციან ტაბიძის პოეზიის სალამო. მოხსენებას წაიკითხავს გერონტი ქიქოძე: „ახალი პოეზია“ სიტყვებს წარმოსთქვამენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ალ. არსენიშვილი. ლექსებს წაიკითხავენ: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა ამირეჯიბი, ლელი ჯაფარიძე, სანდრო ყანჩელი, შოთა დადიანი, გ. ლეონიძე, ილია ზდანევიჩი, სერგეი გოროდეცკი, სერგეი რაფალოვიჩი და სხვები.

— **ჟურნალი „ორიონი“** ამ დღეებში თბილისში გამოვიდა რუსული ჟურნალი „ორიონი“ ს. გოროდეცკის და ს. რაფალოვიჩის რედაქტორობით. ჟურნალში დაბეჭდილია ლექსები და კრიტიკული წერილები და ს. გოროდეცკის რომანი. „ავი გრიგალი“. ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე თარგმანები სერგეი რაფალოვიჩის ოვანეს თუმანიანის და ტიციან ტაბიძის ლექსების.

— **თუმანიანის იუბილე.** კვირას, 6 აპრილს, სალამოს, მე-4 გიმნაზიაში პოეტ თუმანიანს 50 წლ. იუბილე გაუმართეს. სალამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მათ შორის განათლების მინისტრი რამიშვილიც. 8 საათზე მობრძანდა იუბილარი, რომელსაც გიმნაზიის დირექტორი ზაალიშვილი მიესალმა

განათლების მინისტრს წარუდგა პედაგოგიური საბჭო და მშობელთა წრე. მინისტრი მიესალმა მათ და აღნიშნა რომ სწავლა-აღზრდის საქმეში ჯერ საქართველოს რესპუბლიკაში არაფერი თვალსაჩინო არ გაკეთებულა და აღნიშნა ამის მიზეზებიც. მინისტრს უპასუხა გიმნაზიის დირექტორმა ფირცხალაიშვილმა. შემდეგ საგანგებოდ მორთულ დარბაზში გაიმართა სალამო. სალამოს პროგრამა საუცხოვო იყო. სალამოს შემდეგ იუბილარს ვახშამი გაუმართეს. ვახშამზე წარმოითქვა სიტყვები ქართველებისა და სომხების მიერ, რომლებიც აღნიშნავდენ სომხეთ-საქართველოს სოლიდარობის აუცილებლობას და ამტკიცებდენ, რომ ამ სოლიდარობას სასწავლებლებშივე საფუძველი უნდა ჩაეყაროსო.

— **ხალამო.** მეორე ვაჟთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ დღეს ქართულ კლუბის თეატრში იმართება დიდი საზეიმო სალამო.

პროვინციის ცხოვრება

თელავი

თელავიდან მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით ატყობინებს: არეშის საზოგადოებაში დაუწიეთ ცნობილ ყაჩაღთა რაზმს, მოვკალით მეთაურები დეჟენოი დეჟენოღლი, აბდულ რახილიმამ მამად-ოღლი, მამედ აჯი მამედ ოღლი და დავჭერით რამოდენიმე ყაჩაღი, ერთმა ყაჩაღმა მოგვაწერო გაქცევა. მიღებულია ზომები მის შესაპყრობლად.

ამგვარად ყაჩაღთა ბრბო განადგურებულია.

—

ახალციხე

ამ დღეებში ბორჯომიდან დაბრუნდა ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე ბერშტეინი, რომელიც მოხსენებით წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს, მოხსენებიდანა სჩანს, რომ ბორჯომში თავი მოუყრია 2000 ზედმეტ ლტოლვილებს. აქედან 1500 ქართველია, 90 სომეხი, 46 რუსი და 600 ბერძენი. უკანასკნელნი თხოულობენ ყარსის ოლქში გაშვებას.

ახალციხეში კი თავი მოუყრიათ 5000-მდე ლტოლვილებს. აქედან 3500 ქართველია და 1650-დე სომეხი.

—

სენაკი

ხონიდან შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებენ, რომ 30 მარტს სალამოს სენაკის მაზრაში ს. ლეხინდაოს, ბოროტგამზრახველთ იარმურკიდან დაბრუნებული ვაჭრები გაუძარცვავთ. წაუღიათ ფული და საქონელი სულ 50.000 მანეთისა

—

ფშავხევსურეთი

ფსავხევსურეთის უბნის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა თიანეთის მაზრის კომისრის საშუალებით, რათა ფშავის საზოგადოებაც განთავისუფლებულ იქმნან სამხედრო ბეგარისაგან, სამაგიეროდ მათ დაევალოთ საზღვრების გამაგრება ხევსურებთან ერთად.

მზა და მზა

მკითხველს ეხსომება ბ. არაყიშვილის წერილი „გრუზია“-ში, სადაც იგი უჩივის სახელმწიფო თეატრში გამეფებულს ვანდალიზმს და ჰხსნის თავის ოპერას რეპერტუარდგან.

ბ. არაყიშვილი ტყუილად აუღელვებია ამ გარემოებას; ეტყობა იგი თეატრისთვის ჯერ ახალი კაცია, თორემ ესე რომ არ იყოს, ხომ არც ააღელვებდა და ააშფოთებდა ის აულაგმავი ვანდალიზმი, რომელიც აქ, ამ დაწესებულებაში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ის ბარბაროსობა რასაც აქ სჩადიან ამა თუ იმ ავტორისადმი, ეგრეთ წოდებული, ახლად გამოჩეკილი კაპელმეისტერები, რომელთაც ჯერ რძე არ შეჰშრობიათ ტუჩებზედ და პარტიტურაში აღნიშნულ კუპიურებით თავიანთის ძალით შნოიანად ვერც კი გაუვლია გაკვერილს გზაზედ, აქ, ამ დაწესებულებაში სიცილადაც არ ჰყოფნით. და განა თქვენს ოპერაში რომელიმე ადგილის შეკვეცამ, ან ამა თუ იმ ნომრის არა შესაფერისმა ინტერპრეტაციამ უნდა აგაღელვოთ? სულ ტყუილად აღელდებით და მით უმეტეს დანაშაულს ჩაიდენთ, თუ თქვენს ოპერას მოხსნით რეპერტუარიდან. ვის გამოაჯავრებთ? ვის მიაყენებთ უსიამოვნებას? რასაკვირველია ქართველ საზოგადოებას და არა იმ ხალხს, რომელთაც ამ ჟამად მოუყრიათ თავი სახელმწიფო თეატრში.

ვფიქრობ, თქვენს წერილს რამე მორალური გავლენა უნდა მოეხდინა მაინც თეატრის ხელმძღვანელებზედ: —არა? ან და თუ უპრინციპო, მთლად გახრწნილი კაცი არ არის, იმას მაინც დააფიქრებდა ასეთ წერილზე! მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! მახინჯს რა გაასწორებს. და აი, სწორედ იმ წერილის მეორე დღეს სახელმწიფო თეატრის სცენაზედ შემდეგი ვნახე: ვაჟთა მე-8 გიმნაზიის სასარგებლოდ დაიდგა: „რომეო და ჯულიეტტა“, გუნოსი და „სოფლის პატიოსნება“, მასკანისა. პირველ ოპერაში რომ გამოუშვეს მთელი აქტი, ამას მე შეურიგდი ზოგიერთა მოსაზრების გამო, მაგრამ როგორადაც დაიდგა „სოფლის პატიოსნება“, ამან ყოველივე ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, ვინაიდან ეს იყო პირდაპირი გამასხარავება მასკანისა და სასაცილოდ აგდება ამ სალამოს აქ თავმოყრილ ქართველი საზოგადოებისა. ვამბობთ,—ჩემს მოლოდინს გადააჭარბაო,—იმიტომ, რომ დაპირებულ ალეშკოსა და საბანეევის მაგიერ სხვას ვისმეს ამღერებდნენ და დაპირების არ შესრულება კი აქ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. მეორე დღეს, როდესაც სალამოს გამმართველებმა ევლახოვის წარმომადგენელს ექვსი ათასი ჩააბარეს და უკადრისი წარმოდგენისთვის თავაზიანად უკმაყოფილება გამოუცხადეს, მან უთხრა: თქვენ მადლობელი უნდა იყოთ, რომ უარესი არ მოხდა, ხოლო რაც ნახეთ „სოფლის პატიოსნებაში“, ამისთვის თქვენ ოცდა-ათი თუმანი გეკუთვნო დათ მოგეცათ ანტრეპრიზასთვისაო,— აი ამისთანა ცინიკური პასუხით გამოისტუმრეს თეატრიდან სამი მასწავლებელი და მო[illegible]ლი გიმნაზიისა.

ან იქნებ თქვენა გგონიათ, რომ „აბესალომ და ეთერი“ ძალიან ეპიტნავებოდეთ თეატრში? დამიჯერეთ, —თითონ ზ. ფალიაშვილი რომ არ უდგეს დარაჯათ თავის ოპერას დირიჟორის პულტთან, იმასაც ესეთი ბედი ეწეოდა, როგორიც თქვენს ოპერას.

და როდესაც ამისთანა გარემოების მორევი გახვევიათ, გმართებთ რამე გულისწყრომა? ქართულ ხელოვნებას ეკლის გვირგვინი ედო და ადევს და ჯერ კიდევ დიდხანს მოუხდება მას წამების ჯვრის ზიდვა. სიტყვით ყველა მზად არის მისთვის და საქმედ კი იგი ცნობილია, როგორც ფუქსავატ, არტისტიულის ჟინიანობის მიდრეკილების ხალხისა, და ყველას თანაგრძნობა, ყველას დახმარება ხელოვნებისთვის, დაწყებული დიდ ბანოვან მანდილოსნებიდან პენსნეთი შემკულ ინტელიგენტთა, ამ ფარგალს გარეშე არ აღემატება. სახელმწიფო თეატრში თავმოყრილ მემუსიკეთა ხელშიც ქართული ხელოვნება ბოლშევიზმის ექსპერიმენტებს განიცდის, და ვის უნდა შესჩივლონ, ხოლო ვწუხვარ, რომ თეატრის კომისარი, რომელიც არამარტო ადმინისტრაციის ფუნქციებს უნდა ასრულებდეს, არამედ ერთნაირი მოთვალყურეც და მზრუნველიც უნდა იყოს ქართულ საზოგადოების ყალს ნიადაგზე ესთეტიური გემოვნების აღზრდისა, ამ სამწუხარო მოვლენებს ჯეროვან ანგარიშს არ უწევს. განა თეატრის ადმინისტრატორმა მარტო იმაზედ უნდა იზრუნოს, რომ თეატრის კარები არ დაიხუროს და იგი მუდამ მუშაობდეს? თუ ესეა, გაუღეთ ფართოდ კარები პარიჟის ჟანრსა და ნახავთ როგორ ბუზივით დაგეხვევათ მაყურებელი. არა, აქ სერიოზული ნაწარმოებნი დინჯათ უნდა იდგმებოდნენ და ყველა ავტორს პატივით უნდა ეპყრობოდნენ.

და ანტრეპრენიორისაგანაც კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ქართველი საზოგადოება ყველა ამის მნახველი და მოწამე იყოს და არა იმისი, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ.

ვწერთ ჩვენც ამ წერილს, მაგრამ ვისთვის, ან რისთვის? ვინ არის გამომხმაურებელი და მშველელი? ნუ თუ არავინ? ხოლო ერთი რამ გვაიმედებს: დღეს თუ ქართველი ხალხის ცხოვრებას აღელვებული ზვირთები მიაქან მოაქანებს, ხვალ შესაძლებელია დაწყნარდეს ამინდი და ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამაც სანატრელ ნავთსაყუდელს მიახწიოს და შეაფაროს თავი. მაშ ინ, იმედია, შემთხვევით აქ თავმოყრილს პირთ თვით ცხოვრება აალებინებს ქართველი საზოგადოების ესთეტიურად აღზრდაზედ ხელს და ქართული ხელოვნებაც თავს დაახწევს მათს ვანდალიზმსა და აპეკისაგან.

ი. კარგარეთელი.

ბოლშევიზმის „ბიოგრაფია“.

„მზის ქვეშ არა არის რა ახალიო“,— ამბობდნენ ძველი დროის ფილოსოფოსები და ამასვე ჰღაღადებს დღევანდელი მეცნიერება, და რა საკვირველია, თუ ისტორიას ხალხთ სოციალურ განწყობილებაში შეაქვს მოქმედებათა განმეორება. ადამიანის ბუნება არც ისე საკვირველ მოქმედია, რომ მას ძალა ჰქონდეს სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგარდმო მოვლენათა შეტანისა. დასაბამიდან სიკეთეს და სიბოროტეს შეუბღალავი ბრძოლა ჰქონიათ არსებობისათვის, რაიცა, სხვათა შორის, გათვალისწინებული აქვს ინგლისის ბუნების მეტყველს დარვინს თვის ბუნებათა უკვდავ კანონებში: ბრძოლა ლუკმა პურის მოსაპოებლად იყო და არის ბრძოლა სიკეთის და სიბოროტის ბანაკთა შორისო. თუ ორმუზდი უწოდებდა ხალხს ჯაფით ლუკმა პურის შეძენას, არიმანი იმ პრინციპს ღაღადებდა, რომელიც შემდეგში მცნებად აღიარა ანარქისტმა ბაბეფმა—„საკუთრება ქურდობააო.“ მისმა თანამოაზრე ლენინმა ეს მცნება ამოსჭრა და კაცობრიობას განუმეორა—„გაძარცვე ნაძარცვიო“. ანარქიას და ბოლშევიზმს თავის წინამორბედნი ჰყვანან, მსოფლიო ისტორიას თვალი რო გადავავლოთ, ნათლად დავინახავთ, რო ამ ორივე ეგრედ წოდებულს „სწავლებას“, როგორც კულტურის პირველ ხანებში, ისე ცივილიზაციის უკანასკნელ კიდეებზე ჰყავდათ თავდადებული მოციქულები, რომელნიც ხალხთ შორის ავრცელებდნენ კერძო საკუთრების განადგურების, ინტელიგენციის დარბევის და

განათლების დამხობის იდეიას. ძველმა საბერძნეთმა ცარცვა-მტაცებლობის პოლიტიკა დაასახელა „ანარქიად.“ ეს სიტყვა ბერძნულია და ლექსიკონში შეტანილ იქმნა ბერძენთა მიერ ამ გვარ პოლიტიკის დასახასიათებლად. ხშირად მათ აგორაში (ჩვენი სალაყბო) რომელიმე დემაგოგს შეჰქონდა წინადადება კერძო საკუთრების ჩამორთმევისა, მაგრამ კანონიერ ჩამორთმევას მოსდევდა მოქალაქეთა ქონების ავაზაკური დარბევა. ეს უკანასკნელი იწვევდა უკმაყოფილოთა მხრივ რეაქციას და საძთხის რესპუბლიკას ბოლო ეღებოდა სასტიკ დიქტატურის ბრჭყალებში. ანარქიულ შეხედულობამ ერთი ერთ ეკონომიურ დამოკიდებულებაზე საძირკვლიანად გაანადგურა ძველი ურიასტანი. გაფანტული დედამიწაზე ებრაელები ინანიებენ თავის სამშობლოს დაკარგვაზე, მაგრამ ამაოდ,—ისტორიამ არ შეისმინა მათი სინანული და, თუ ეხლა თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან, არა ეროვნულ კულტურის ძალით და მის მოქმედებით, არამედ როგორც მოსახლენი საერთაშორისო პოლიტიკის წყალობით შექმნილ ადგილზე. რომაელების ისტორია ქრისტეს შემდეგ წარმოადგენს იმავ მტაცებლობის ხანას ეკონომიურ ცხოვრებაში. რა სიადვილითაც აჰყავდათ მათ ჯარისკაცებს დიოკლეტიანები და ვესპასიანები სახელმწიფო ტახტზე, ისე ადვილად აგდებდნენ ტახტიდან, თუ რომელიმე მართველს არ გაჰყავდა ცხოვრებაში მათთვის შესაფერისი პოლიტიკა. სამოქალაქო ომმა, საზოგადოდ, ბრძოლამ განებივრებულ პრეტორიანელებისა კერძო საკუთრებისადმი, შთანთქა უდიდესი დედამიწის ზურგზე, მდიდარი კულტურით, რომაელების იმპერია. ძველ სპარსეთის ისტორიაში იხსენიება ვინმე მაზდეკი, რომელიც თავის „დისნად-დში“ უქადაგებდა ხალხს სოციალურ თანასწორობას და აწინდელ ბოლშევიკურ კომუნიზმის სწავლებას. თითონ და მისი თანამოაზრენი მოითხოვდნენ კერძო საკუთრების ჩამორთმევას და მის განაწილებას პროლეტართა შორის. საკუთრების თანასწორად განაწილების გარდა კაცობრიობის ხსნას ტანჯვისაგან მაზდეკელები ხედავდნენ ცოლების, როგორც საკუთრების, გაცვლა-გამოცვლაში, ვისაც ლამაზი ცოლი ჰყავსო, ამბობდა მაზდეკი, იგი ვალდებულია დროებით ათხოვოს მას, ვისაც ლამაზი ცოლი არა ჰყავსო და უკანასკნელი დროებითვე უნდა გადვიდეს ლამაზი ცოლის პატრონთანაო. საშუალო საუკუნოებში არა ერთხელ ყოფილა გლეხკაცების ამბოხება, მაგრამ როდესაც განმათავისუფლებელ მოძრაობას მოსდევდა ქონების ძალადობითი ჩამორთმევა, მოპირდაპირე ბანაკი საპასუხო მოქმედებით იწვევდა უძლიერეს რეაქციას და რევოლუციის მონაპოვარი სამარეში იმარხებოდა. საფრანგეთის დიდ რევოლუციის ისტორიას ახსოვს ის დღე (1793 წ.), როდესაც პარიზელებმა ზარის რეკვით მოიწვიეს მოედანზე პარიზი და იერიშით მივიდნენ ბურგომისტრის შენობასთან. მეამბოხენი მოითხოვდნენ კერძო საკუთრების დაცვას იმ „ბოლშევიკების“ მხრით, რომელნიც ოთხი წლის განმავლობაში ყვლეფავდნენ მოქალაქეებს ათას დეკრეტების ძალით. წინედ ძარცვა-გლეჯის პოლიტიკის მოძღვრებთ თავიანთ მოქმედებაში არა ჰქონდათ არც სისტემა და არც შესაფერისი პროგრამა. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ანარქისტებმა შეიტანეს ლიტერატურაში დაახლოვებითი მწყობრი სწავლება შესახებ კერძო საკუთრების ჩამორთმევისა და მისი საზოგადოებრივ მოხმარებისა. ბაბეფის, ბაკუნინის, კროპოტკინის და სხვა ანარქისტების სწავლებამ გამოიწვია სასტიკი კრიტიკა. მათ ასახელებდნენ, როგორც ზარმაცობის იდეოლოგებს, ადვილია კერძო საკუთრების, კანონების და სახელმწიფოს წყობილების უარყოფა მათთვის, ვისაც ჯაფა ეზიზღება და თავიანთ ცხოვრებას სხვის ზურგზე ატარებენ. ასე თუ ისე ანარქისტების სწავლებამ დაჰბადა ახლანდელი ბოლშევიზმი, დამყარებული იმავ ავაზაკობის და წითელ ტერრორის პრინციპებზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს სწავლება აღმოცენდა რუსეთის უკულტურო ნიადაგზე, რასაც, თავისდა უნებლიედ, ხელი შეუწყო რუსეთისავე ინტელიგენციამ. მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მოყოლებული რუსების ლიტერატურა გაჟღენთილია „მუჟიკისადმი“ ბრმა სიყვარულით. ეგრედ წოდებულმა მიმართულებამ „ოპროშჩენიემ“, „ხალხში სვლამ“, „ნაროდნოვოლჩესტვო — ნაროდნიჩესტვომ“, ტოლსტოის „სოფელში ფეხშიშველა მოგზაურობამ“, მაქსიმ გორკის „ბოსიაკების“ ლიტერატურამ და მეოცე საუკუნის დასაწყისში სტუდენტთა საკინძ ჩამოხსნილმა „კოსოვოროტკამ“ გამოიწვია თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს ის ძალები, რომელთაც, სოციალიზმამდე რწმენით გატაცებულებმა მოსპეს თვითმპყრობელობა და ერთდაიმავე დროს გაანადგურეს თვით რუსეთი და მისი ინტელიგენცია კალთაში ჩასმულმა „მუჟიკმა“ ისკუპა და კისერზე წამოაჯდა თავის ბედის მომჩივანს, მრავალ—წამებულ ინტელლიგენციას. საერთაშორისო სოციალიზმის მქადაგებელს არა ჰქონდა გათვალისწინებული ის სიბნელე, რომლითაც იყო მოცული „მუჟიკის“ ყოფა-ცხოვრება და რომელზედაც შემდეგში შემოიმტვრია ფეხები. რუსეთშიაც მოხდა ის, რაც მომხდარა საზოგადოდ, ყველა ხალხის ისტორიაში, და ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ადგილი მუდამ ექმნება იქ, სადაც ხალხის ბედ-იღბალი უკავიათ ხელში გაუნათლებელ პოლიტიკანებს და სინიდისის გამყიდავ ავანტიურისტებს. ბოლშევიზმი—სახადია ყველა ქვეყნისთვის და ყველა დროის ერისთვის, თუ იგი კულტურით დაწინაურებული არ არის. ხალხი, შეყრილი ამ ავადმყოფობით, ან კვდება, ან რჩება მიხედვით მისი ორგანიზმის ჯანმრთელობისა. ბოლშევიკების სწავლაშიაც ახალია მხოლოდ სიმკაცრე მათი ჯალათობისა, და არა სხვის საკუთრების და კულტურის დარბევის იდეია.

პავლე მოსულიშვილი

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

8 აპრილი.

ამერიკის კომერციული ფლოტი

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ პრეზიდენტი იმუშავებს ახალ კომერციულ ფლოტის სქემას, რომელიც თუ განხორციელდა, ამერიკას შეძლებას მისცემს იულიოს 16,730,700 ტონის სავაჭრო ფლოტი. ე. ი. მთელი მსოფლიოს სავაჭრო ფლოტის ნახევარი.

კაიზერი და ფერდინანდი

დღეს გამოაქვეყნეს გრაფ ჩერნინის მიწერ მოწერა ბოჰემიის მთავრობის წარმომადგენლებთან პრაგაში. ამ წლის იანვარში ეს მიწერ-მოწერა ჩერნინს ედგარ სისონისთვის გადაუცია. მიწერ-მოწერა მოწმობს, რომ არსებობდა გერმანელების შეთქმულება ფერდინანდის წინააღმდეგ, რომელსაც თავის დროზე კაიზერის მოქიშპეთ ჰსთვლიდენ.

რუმინიის დედოფალი

ლონდონიდან იუწყებიან, რომ რუმინიის დედოფალი გაემგზავრა, ერთ ერთი თავის უკანასკნელ მოგზაურობის დროს ვინირშრ, სადაც ის პარიზიდან რამოდენიმე-ჯერ მისულა.

ბოლშევიკები ოდესასთან

ბერნიდან მოვიდა დეპეშა, რომ ბოლშევიკები ოდესამდე მივიდნენ და წითელი არმია ქალაქს ემუქრება.

ზარალის ანაზღაურება

ბელგიის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა საფრანგეთის მთავრობასთან იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც ეხება საფრანგეთში ბელგიელთა და ბელგიაში ფრანგების ზარალის ანაზღაურებას.

პოლონეთ-რუმინეთი გერმანიის წინააღმდეგ.

„პტი-პარიზიენ“-მა გამოაქვეყნა გენ. ილიესკოს განცხადება იმის შესახებ, რომ გენ. მანჟენი რუმინიასა და უნგრეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდლად დაინიშნა. გენ. ილიესკოს განუცხადებია, რომ მისი აზრით დიდი ხანია საჭირო იყო გერმანიის წინააღმდეგ შეეკრათ პოლონეთ-რუმინიის მთლიანი ფრონტი. მას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიაღებიოს ჩეხოსლოვაკებს და სლოვაკებს, რათა ბოლშევიზმის შემოსევას წინააღმდეგობა გაეწიოს. მისი სიტყვით ამ პროექტს თანაუგრძნობენ მოკავშირენი და რუსის ხალხიც. რუმინიის ჯარს საკმაო ამუნიცია აქვს, ხოლო არა აქვს ტანკები და ჰაეროპლანები. საჭიროა აგრეთვე ორთქლ-მავალები და სურსათი.

გემის აფეთქება.

ვენეციიდან იუწყებიან, რომ ადრიატიკის ზღვაზე აფეთქდა გემი „სპირი დონი“ სან-ბაზილიოს სანაპიროს ახლოს, საიდანაც გემი პოლაში მიემართებოდა. მიზეზი ნავთის რეზერვუარის აფეთქება იყო. დაიღუპა 70 კაცი, დაჭრა 100-ზე მეტი.

გერმანული პრესა.

გაფიცვები დასავლეთ გერმანიაში.

დასავლეთ გერანიაში გაფიცვები გრძელდება. დიუსელდორფში კომუნისტები აგიტაციას ეწევიან, რომ ქარხნების მუშები გაიფიცონ მაღაროს მუშების თანაგრძნობის ნიშნად. ამის გამო ტრონიცაში კრება უნდა შემდგარიყო ამ საკითხის განსახილველათ. ვესტფალის და რეინის მთელ სამრეწველო რაიონში სასურსათო კრიზისი ძალიან გამწვავდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია კარტოფილის სიმცირე. სასურსათო მინისტრმა შმიტმა დორტმუნდში მუშათა კომისიას განუცხადა, რომ არსებული რაიონი უნდა შემცირდეს. ბრიუსელის შეთანხმებით უნდა მოზიდულ იქნეს სულზე 25 გრამი ღორის ხორცი და 50 გრამი ქონი. ფიქრობენ, რომ ამ ოლქებში მუშაობა განახლდება.

გერმანიის წარმ. საზავო კონფერენციაზე

გერმანიის წარმომადგენლებათ საზავო კონფერენციაზე იქნებიან გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის გუბერნატორი დოქტორი შნერი, მარკახდსენი და რუპელი. მოლაპარაკების დასასრულს საბალშენო საკითხის გარჩევას დაესწრება საბალშენო მინისტრი. დოქტორი ბელი. მთავარ ექსპერტებათ იქნებიან სენატორი შტრანდერი ჰამბურგიდან და დოქტორი აქსენფელდი ბერლინიდან. ამათ გარდა სახეში ყავთ კიდევ სხვები.

პოლონეთის ჯარი გერმანიის ტერიტორიაზე

ობერგერმეისტერი ზაიმი, რომელიც სპაში მონაწილეობას იღებდა გერმანიის ტერიტორიაზე პოლონეთის ჯარის გატარების შესახებ მოლაპარაკებაში, დეპეშით იუწყება: „ეს არის ეხლა მოაწერეს ხელი სპაში ხელშეკრულებას, რომლის ძალით გალერის ჯარი დანციგზე კარგათ დაშორებულ გზით გაივლის. სიხარულით მოგმართავთ შემდეგი სიტყვებით: საბედნიეროთ დანციგს საფრთხე ასცილდა. მადლობა მათ, ვინც დასავლეთ პრუსიას და დანციგს მძიმე ხვედრი თავიდან აცილა. თქვენ ამ კატეგორიულმა განცხადებამ, რომ გერმანიას უკანასკნელ ღონისძიებამდე დაიცავთ, გადამწყვეტი გავლენა იქონია საქმის ვითარებაზე. გიხაროდეთ განთავისუფლების ჟამს. არ დაეცეთ სულით. თავისუფლათ, გაბედვით და უშიშრათ აიმაღლეთ ხმა ჩვენი ქალაქის და პროვინციის მურმანული სულისთვის.

გალლერის ჯარი.

გენ. გალერის ჯარი შესდგება შემდეგ 3 ნაწილისაგან: 1) საფრანგეთის არმიიდან გამოყოფილ პოლონელთაგან, 2) იტალიაში ავსტრიის ტყვებათ მყოფ პოლონელთაგან და 3) დემობილიზაციის შემდეგ ინგლისის და ამერიკის ჯარიდან განთავისუფლებულ პოლონელთაგან. დღევანდლამდე დასრულდა 1, 2 და მე 3 ქვეითი დივიზიების და 1 ცხენოსან პოლკის შედგენა. ორი ამოდენა ჯარი კიდევ მზადდება სამხედრო ნაწილების შესადგენად. პოლონეთის ჯარს მიუმატეს მძიმე არტილერია, რომელზედაც პოლონურ ფორმაში გამოწყობილი ფრანგები მსახურობენ. ფრანგებისთვის ყოველმხრივი უპირატესობა უზრუნველყოფილია, ყველა თანამდებობაზე ობერ-ლეიტენანტიდან დაწყებული, ფრანგების ხელშია.

ბოლშევიკური ცნობები.

რიგა, აპრილის 3. „ნაშა პრავდაში“ დანიის ელჩი წერილით უარყოფს გაზეთების ცნობას თითქოს კოპენჰაგენში შემდგარიყოს თეთრგვარდიელთა მოხალისე რაზმები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ საბრძოლველათ, მაგრამ რედაქცია „ნაშა პრავდა“-სი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ დეპეშათა სააგენტოს ცნობით 300 დანიის მოხალისე კოპენჰაგენში გაიგზავნა. ადგილობრივ მუშათა ორგანიზაცია რამდენიმე ხანს მათ არ უშვებდა.

რეჩიცა, აპრილის 5. აჯანყებულნი დამარცხდენ. შტაბი ხელთ ჩაიგდეს და მოსკოვში გაგზავნეს. აჯანყების მომწყობი სტრენოპონოვი გაიქცა. მრავალი აჯანყებული ტყვეთ ჩავარდა. გაანთავისუფლეს მრავალნი, რომელთაც დახვრეტა ჰქონდათ გადაწყვეტილი.—გომელის აღმსრულებელმა კომიტეტმა კომისია შეადგინა მათ დასახმარებლათ, ვინც არეულობის დროს დაზარალდა. რამდენიმე ასი ოჯახი განადგურებულია და ულუკმაპუროთ დარჩა. ბესარაბიიდან ჩამოსულთა ცნობით იქ ისეთი მდგომარეობაა, რომ ყოველ წუთს მოელიან აჯანყების დაწყებას. იმისდა მიუხედავათ რომ ძლიერი ტერიტორია, გლეხები აგროვებენ იარაღს და მოელიან ორგანიზატორს, რომელიც აჯანყებას მოაწყობს.

ნოვგოროდი, აპრილის 5. იერუსალიმის ტაძრის შესავალში დაასვენეს წმ. სოფიოს ტაძრიდან გადმოტანილი შეუმოსელი წმიდა ნაწილი. ყოველი მხრიდან მოდის ხალხი წმინდა ნაწილის ძვლების სანახავათ.

სამარა, აპრილის 5. ციმბირში და ურალზე ოფიცერთა სპეციალური რაზმი შესულა. ვისაც ბოლშევიზმის მომხრეთ შეამჩნევენ, ხვრეტენ. მუშები წითელი არმიის მოსვლას და საბჭოთა მთავრობის დაარსებას მოელიან; მრავალ ადგილებში გაფიცვები და აჯანყება ხდება. გლეხები კოლჩაკს მტრულად უყურებენ. კოლჩაკის ჯარი უფასოთ ახდენს შინაურ საქონლის რეკვიზიციას. სიკვდილის მუქარით უფრიან თავს. მობილიზაციას მათრახებით ახდენენ. ჯარში გაწვეული აფიცრები, მასწავლებლები და წვრილი მოსამსახურეები, და სხვები კოლჩაკს წინააღმდეგ არიან. რკინის გზის ტრანსპორტი განადგურებულია.

ბუდაპეშტი, აპრილის 5. გერმანულ ავსტრიის 1,200 კომუნისტი მუშა უნგრეთის ჯარში ჩაეწერა. ორგანიზაციულათ მოწყობილი მუშები უკვე ბუდაპეშტში არიან.

ნაუენი, აპრილის 4. ერცბერგერმა და მარშალ ფოშმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას გერმანიის ტერიტორიაზე პოლონელთა ჯარის გადაყვანის შესახებ ჯარის გადმოსხმა დანციგში მოხდება, ნაწილის სტეტინში, ნაწილის პილაუში და კენინსბერგში, აქედან ისინი ვარშავაში გაემგზავრებიან. მთელი სარდლობა, პოდპოლკოვნიკიდან დაწყებული, ფრანგებიდან შესდგება.

ლიონი, აპრ. 5. ტონაჟის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება ახალ მოსავლამდე დააკმაყოფილონ გერმანია სურსათით. ამიტომ გერმანიის სურსათის კრიზისს ვერ გადასწყვეტს ხელშეკრულება სურსათის შემოზიდვის შესახებ. სარწმუნო ცნობაა, რომ იტალია არ თანხმდება ფიუმე თავისუფალ ნავთსადგურათ გამოცხადდეს და დაჟინებით მოითხოვს გადასცენ მას. იტალიელები მოითხოვენ ადრიატიის ზღვის ორივე ნაპირს. ფიუმეს მოიუმეს მოითხოვენ სამხრეთის სლავიანებიც.

პარიზი, მარტ. 28. ნეგრთა აღორძინების საერთო კავშირი საზავო კონფერენციაზე მოითხოვს: შავ და თეთრ რასის პოლიტიკურ თანასწორობას, ეკონომიურ შევიწროვების გაუქმებას, რადგან აფრიკაში მრეწველობის განვითარებას წინ ეღობებიან და მოითხოვენ აგრეთვე შავკანიანებს საკუთრების შეძენის ნება დართონ.

ლონდონი, მარ. 27. „მორნინგ ფოსტის“ ცნობილ ინგლისის მუშათა დამოუკიდებელ პარტიის კონფერენციაზე შემდეგ რეზოლიუციას წარადგენენ: მიწის ნაციონალიზაცია, მიწის რეფორმები განსაკუთრებული გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოთ, წარმოების სოციალიზაცია, ჯარში გაწვევის გაუქმება, ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება, ხეიბართათვის და შინ დაბრუნებულ ჯარისთვის, ვიდრე ისინი სამუშაოს მიიღებენ, ჯამაგირის დარიგება, მოხუცებულთა უზრუნველყოფა 50 წლ., გერმანიის და რუსეთის საქმეებში არ ჩარევა, და ირლანდიიდან ბრიტანიის სამხედრო ძალების გაწვევა.

ბუხარესტი, მარ. 28. უნგრეთის ამბებთან ერთად ბუქარესტში არეულობა დაიწყო. „რუმინია, ამბობენ გაზეთები, გარს შემორტყმულია წითელი ოკეანით, შიგნით კი უმუშევრობა და სიღარიბეა.

ბერლინი, მარ. 29. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის ცნობით გალეში დაკარგული სპარტაკელების ბელადი ლეიბური წყლიდან მკვდარი ამოიღეს. გამოირკვა, რომ მას უკანიდან თავში მოხვდა ტყვია და მდინარეში მკვდარი გადავარდა.

ვეიმარი, მარტ. 28. მეუმრავლესე სოც.-დემ. 10 ივნისს ვეიმარში პარტიულ ყრილობას იწვევენ.

ბუდაპეშტი, აპრ. 4. უნგრეთის „კორესპოდენტ - ბიუროს“ ცნობით ფიუნკირხენში სერბიის ჯარისკაცთა შორის აჯანყებაა. ქალაქში გაკრულია ფურცლები, რომელშიაც აცხადებენ, რომ აუცილებელია სერბიის რესპუბლიკის შექმნა. ფურცლები თავდება შემდეგი სიტყვებით: „სიკვდილი ყარა გეორგევიჩებს“.

მოსკოვი, აპრილის 5. (ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი).

ჩერნიგოვი, აპრილის 4. ეკატერინოდარში ლითონის ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მათ განაცხადეს, რომ არ იმუშავებენ თეთრგვარდიელთა სამხედრო მიზნების სასარგებლოთ. მოხალისეებმა მუშები დახვრიტეს. ნოვოროსიაში საერთო გაფიცვებია. მუშებს ხელმძღვანელობს რევოლიუციონური გაფიცვის კომიტეტი. მუშები მოითხოვენ მოხალისეთა ჯარის გაყვანას.

ორენბურგი, აპრილის 3. ორენბურგის მაზრაში სწავლა-განათლების გასავრცელებლათ გაგზავნეს მრავალი სახელმძღვანელოები.

მოსკოვი, აპრილის 5. ჩერნიგოვის სასოფლო სამეურნეო განმანათლებელი კომიტეტი ადგენს მუსიკოსთა რაზმებს, რომლებიც სოფლებში გამართავენ კონცერტებს, დაარსებენ მუსიკალურ სასწავლებლებს და მოაწყობენ მუსიკალურ ლექციებს.

სარატოვი, მოქმედება დაიწყო საბავშო ბაღებმა.

კიევი, აპრილის 2. უკრაინის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა რადომსკიმ, უცხოელ ელჩების თხოვნის გამო, გააგრძელა მათთვის მიცემული ვადა, ნება დართო გააგზავნონ დიპლომატიური კურიერები და უცენზუროთ ისარგებლონ რადიო სადგურით. მხოლოდ იმ პირობით, რომ დეკრეტებს შიფრით არ გადაგზავნიან.

კიევი, აპრილის 3. სახალხო კომისართა საგუბერნიო განყოფილება 24 აპრილისთვის იწვევს კომუნისტ მასწავლებელთა ყრილობას. სურსათის სახალხო კომისარს დანამდვილებითი ცნობა აქვს, რომ ხერსონის გუბერნიაში დიდძალი პურია. მის გამოსაყენებლათ აარსებენ სპეციალურ კომისიებს.

ხაუენი, აპრილის 3. რურის ოლქში გაფიცვები იზრდება. გაიფიცა 100000 მეტი მუშა. კრუპის ქარხანაზე მუშების უმრავლესობა გაიფიცა.

საბჭოთა ლიტვის სამხედრო ცნობა. მარიენბურგის მიმართულებით მტერი წინააღმდეგობას გვიწევს, ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. დავიჭირეთ შორლენბურგი, აჯმენდრუზე და პარმო. კორჩმუ კუცენთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა და მზვერავი რაზმი მოქმედობს. კურლიანდიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

სამხედრო ცნობა, 5 აპრ. ჩრდილოეთის ფრონტი. პინეგის რაიონში სოფ. მანზურგისკენ 10 ვერსით მდ. პინეგასთან ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა, მტერი უკუ აგდო და ხელთ იგდო მისი ქონება. არხანგელის რაიონი. მორჟებორის მიმართულებით სოფ. ტერეშერსკაიასთან (?) მტრის იერიში მოვიგერიეთ. პიასეცკო-სელეცის მიმართულებით მოწინააღმდეგემ კონტრ-იერიში დაიწყო, მაგრამ ზარალით უკუ ვაქციეთ. ომოზერის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ.

დასავლეთის ფრონტი. ცნობები არ მოგვსვლია.

სამხრეთის ფრონტი. იუზოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა 10 ვერსით წინ წაიწია და სადგურ მანდრიკინოს სამხრეთი მარგანოვკა დაიჭირა. ბახმუტის რაიონში ჩვენმა ჯარმა 5—10 ვერსით დაიხია. აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ შესძლო დაეჭირა სადგურ ფასჩევკა და სადგური გოროდისჩე, მაგრამ ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით მდგომარეობა აღადგინა.

ლუგანის რაიონი. წითელი ჯარის გმირული ბრძოლის შემდეგ სამხრეთაღმოსავლეთით 15 ვერს. პავლოვისკენ დაიხია. სტავროპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდინარე მანიჩაზე გადავიდა და სტავროპოლის მიმართულებით შეტევას განაგრძობს.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურტა ზიმის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და კონტრ იერიშის დროს 100 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ.

სტერლიტამაკის რაიონი. ჩვენს ჯარს სტერლიტამაკის ჩრდილოეთით 10 ვერ. და აღმოსავლეთით 40 ვერს. პოზიციები უჭირავს. ბელენეისის რაიონში ბრძოლაა.

ბუგულის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 10 ვერსით წინ წაიწია. მოწინააღმდეგის ცდამ აეფეთქებინა მდინარე იკზე ხიდი, უშედეგოთ ჩაიარა. მენზელინის რაიონში მდ. მენზელთან მტერმა პოზიციები დაიჭირა.

ხარაპულის რაიონში მოწინააღმდეგე იერიშებს აწარმოებს და სცდილობს ვოტკინის ქარხნის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ჩვენი ჯარი 30 ვერს. ქარხნიდან აჩერებს ჯარს.

პერმის რაიონი. რკინის გზასთან მოტანილ იერიშებს ჩვენი ჯარი იგერიებს, ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება.

ფრანგული პრესა

შრომის საერთაშორისო კანონმდებლობა

პარიზი. შრომის საერთაშორისო კანონმდებლობა. მუშაობა დასრულდა იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოძებნა შრომის პირობების შესამუშავებლათ საერთაშორისო მუშაობისთვის თანამშრომლობის საშუალება. რეზოლიუციები, რომელიც მოკლე ხანში კონფერენციის საერთო სხდომას წარედგინება [illegible] ლათ, განიყოფება [illegible] შემუშავებულია შეთანხმების პროექტი შრომის მუდმივი საერთაშორისო საკანონმდებლო ორგანიზაციის დაარსების შესახებ. ამ ორგანიზაციაში შევლენ: ნეიტრალურ სახელმწიფოების ხალხთა ლიგის და შრომის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლნი, და ხელმძღვანელობას გაუწევს საადმინისტრაციო საბჭო. რეზოლიუციების მეორე ნაწილი მშრომელთათვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხების დეკლარაციის ზოგიერთ მუხლებს შეიცავს. კარგი იქნებოდა, რომ ეს დეკლარაცია საზავო ხელშეკრულებაში იქნეს შეტანილი. აი ტექსტი ამ მუხლების, რომელთა საზავო ხელშეკრულებაში შეტანის წინადადება თვით კომისიამ წამოაყენა: ხელშეკრულების მიმღები ორივე მხარე ერთმანეთს უთანხმდება მიიღოს ეს პრინციპები და კისრულობს მათ ცხოვრებაში გატარებას თანახმად შრომის საერთაშორისო კონფერენციის დირექტივებისა: 1) არც იურიდიულათ და არც ფაქტიურათ ადამიანის პიროვნება არ უნდა იქნეს ჩათვლილი როგორც ვაჭრობის საგანი. 2) ყოველ შემთხვევაში, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, მუშებს ასოციაციის და კოალიციის უფლება აქვთ.

თარხნიანთ კონცერტი

დღეს, სამშაბათს, ახალ კლუბში თარხნიანთ კონცერტია დანიშნული.

ვინ არიან ეს თარხნიანი? სოფლიდან გადმოხვეწილი ოჯახია—ორი მანდილოსანი და ოთხი ვაჟკაცი.—მანდილოსნები პირველსა და მოძახილს ამბობენ, ვაჟკანი ბანს.

ვინც გრიშაშვილის საღამოს დაესწრო სახელმწიფო თეატრში მარ-24-ს,—ის უეჭველია, თარხნიანთ კონცერტს არ ასცდება.

ამას მე არა სარეკლამოდ, არა მეკონცერტე ოჯახის ჯიბის სასარგებლოდ ვწერ, არამედ ნამდვილ ხელოვნების ინტერესით და იმ მსმენელთა საყურადღებოდ, ვინც ჭეშმარიტ ესტეთიურ დატკბობას ეძებს.

თამამად და გულახდილად ვამბობ,—იშვიათად მიგვრძნია ისეთი სულიერი აღტყინება, რაც იმ ოთხი სიმღერის გამო განვიცადე—თარხანიანთ ოჯახმა რომ გაგვაგონა.

გრიშაშვილის უნარი საღამოების მართვისა წინდევე მაიმედებდა, რომ თარხანიანთ ოჯახის მონაწილეობა უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო, ისე, რაღა,—მარტო პროგრამის შესავსებად. მერე, ამასთანავე, პროგრამის მიწურულში იყო ეს ოჯახი მოთავსებული, ე. ი. დროისთვის, როცა საზოგადოება უკვე დაღლილია და ცალი თვალი კარებისაკენ უჭირავს. ამისთანა წამს საჭიროა მართლაც და გაჭირების ტალკვესივით მოელვარე ქურუმი, რომ მთქნარება ავარდნილი და გასაპარად წამოწეული მსმენელი გამოაფხიზლოს და კვლავ სავარძელში ჩააკრას.

მაგრამ ის, რაც მე გავიგონე, პირდაპირ ოცნებასაც კი აღემატებოდა.

გადაჭარბება ნურავის ეგონება.

როდესაც ხალხური, სადა, სხვა და სხვა ტეხნიკურ ზიზილ-პიპილებით შეზავებული, ჰანგი, არა რომელიმე ქურუმისაგან აღსრულებული, არამედ ჩვეულებრივ სოფლელთაგან, თვალზედ ცრემლს იწვევს, უბრალო საქმე როდია. აქ უეჭველად ღვთის ხელი ტრიალებს და მხატვრული გრძნობა მეტყველებს.

მეგონა, ჩემზე კარგი ურმული არავის მოუსმენია-მეთქი, რაკი შესანიშნავი თელაველი მეურმე სესიკაშვილისგან მქონდა ეს სევდა-კაეშნის სიმღერა გაგონილი.

მაგრამ, როცა თარხნიშვილის ასულის (უმცროსი და) ურმულს ვისმენდი,—(ისიც ქალის ხმას) ვგრძნობდი, რომ წარმოდგენა სესიკაშვილის შესახებ ბურუსში ეხვეოდა და რომ ჩემი გრძნობა-გონების თვალწინ უფრო ძლიერი, აღგზნებული ნაკადი სჩქეფდა მუსიკისა.

ჯერ მეგონა, მარტო მე ვიყავ ასე აღტაცებული და მოჯადოვებული, მაგრამ ბოლოს დავრწმუნდი, რომ თითქმის ყველა იქ მყოფი ჩემსავით იყო ამ მშვენებით აღძრული.

რით აიხსნება ასეთი იშვიათი გავლენა თუ შთაბეჭდილება თარხნიანთ სიმღერისა?

იმით, რომ საკვირველი სწორი, ნამდვილი ქართული კილო აქვთ, სულით და გულით მღერიან და არა მარტო ხმით, და ამასთანავე იშვიათის უნარით, რაც დიდი ვარჯიშობის ნაყოფი უნდა იყოს.

ერთის სიტყვით, ჩვენს წინაშე მეტის-მეტად მგრძნობიარე ადამიანები

არიან, რომლითაც მუსიკის ტეხნიკის უცოდნელადაც გამოუცვნიათ სიმღერის საიდუმლოება და მომხიბლველ მშვენებასა ჰქმნიან.

ინენი.

„მნათობის" კრიტიკოს-ბიბლიოგრაფი ბ. ბოცვაძე

იმის უარესი არა არის რა, როდესაც ადამიანი უცნობ საგანს ეხება, ამ საგანზე ჯერ წარმოდგენაც არა აქვს და მის შესახებ წინასწარ გადაწყვეტილი აზრით კი გამოდის. ეს თვისება ადამიანს მით უფრო ცუდათ ახასიათებს, თუ მიზანში ამოღებული საგანი მისთვის მაინცა და მაინც სასიამოვნოს არას წარმოადგენს.

ბ. ბოცვაძე სწორეთ მსგავსი წინაგანზრახვითაა შეპყრობილი, როდესაც ჩვენს „მნათობს" ეხება (იხ. „სახ. საქმე" №№ 431, 434) და მას თავისებურად აკრიტიკებს, თუ კი კრიტიკა შეიძლება ეწოდოს მთელს წიგნში აქა-იქ უაზროთ ამოღებული ფრაზების გროვას!

და რომ ბ. ბოცვაძე სწორედ ასეთ წინასწარ აზრით ჰმოქმედობს, ეს სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ თავის „კრიტიკის" დასაწყისშივე იგი ასე ამზადებს მკითხველს და მასზე ერთგვარი გავლენის მოხდენასა ცდილობს: „წიგნი როგორც წმინდა კომპილიატიური ნაწარმოები (თუ შრომა?) მოკლებული დამოუკიდებელ შემოქმედებას, მის შემდგენელთა პედაგოგიურს ალღოსაც და ბავშის ფსიხოლოგიის საფუძველსაც (კიდევ რას გვიბრძანებთ?) მეტის მეტად სუსტი აღმოჩნდაო".

ჩვენ ვიცით,რომ ეს ერთგვარი კრიტიკულ-პოლემიკური" ქამანდია იმ შკოლისა, რომლის წარმომადგენლად საქართველოს მარტო ბოცვაძე-ღა შერჩენია! ბოცვაძე ურყევლად იცავს იმ შკოლის ტრადიციას, რომლის მამათმთავარი თავდავიწყებული გაფთრებით ეძგერებოდა ხოლმე ყველას, ვინც ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენას განიზრახავდა და ამით „დედა-ენის" საბრძანებელში შეჭრას მოისურვებდა. ეს იყო ერთგვარი თვითმპყრობელობა, რომლის შეხება აკრძალული იყო! ეს იყო ერთგვარი მონოპოლია ქართველი მოზარდი თაობის სულისა და გულის შესაბოჭავად შექმნილი! და ვინც ამ მოვლენის წინააღმდეგ ხმას ამოიღებდა, ის სამშობლოს მოღალატეთ იყო მიჩნეული!..

სწორედ ამ თვით-მპყრობელ-მონოპოლისტის როლის ასრულებას დღეს ბ. ბოცვაძე განაგრძობს იმ განსხვავებით, რომ მას სრულიად არა აქვს ის მხურვალება და აგზნება, რომელიც „დედა-ენის" ავტორს ჰქონდა თავის ქმნილებისადმი.

„მნათობი" იმგვარი „ნაწარმოებია", რომელიც, მიუხედავად ბოცვაძის გამოლაშქრებისა, „დედა-ენის" სამფლობელოში უკვე შეიჭრა და ბოცვაძის „ბიბლიოგრაფიაც" ამ გარემოებამ გამოიწვია. „დედა-ენის" გარშემო ამართული ჩინური კედლები, ზემოდან ნაკარნახევი „რეზოლიუციების" მიუხედავად, უკვე შენგრეულია და ციხის კომენდანტი, ბ. ბოცვაძე, მართალია სროლით, მაგრამ მაინც უკან იხევს.

ბ. ბოცვაძეს რომ მართლა „დედაენის" შერყეული მდგომარეობა ალაპარაკებს, ამას მკითხველი იქიდანაც დაინახავს, რომ რაც ქართული სკოლის ნაციონალიზაცია დაიწყო, დასაწყისი სკოლებისათვის მრავალი სხვადა სხვა სახელმძღვანელო დაიწერა.

ბ. ბოცვაძე გვაბრალებს, „მნათობის„ ავტორები ტიხომიროვის ბრმა მიმდევრები არიანო. ამის საბუთად მას დაუსახელებია რამდენიმე სტატია, რომელიც, სხვათა შორის, ტიხომიროვის წიგნშიაცაა მოთავსებული. მერე ესაა მიმდევრობა?! ესაა სხვისი ფეხის აყოლა? ასე რომ იყოს, ჩვენ ბოცვაძის „მიმდევრებიც" ვყოფილვართ, ვინაიდან „მნათობში" ზოგი ისეთი სტატიაა მოთავსებული, რომელიც „დედა ენაშიცაა" დაბეჭდილი!.. მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ბ. ბოცვაძეს სრულიად თავი არ შეუწუხებია და მისთვის უცნობი დარჩენილა ის სისტემა, რომელზედაც აგებულია „მნათობი" ერთი მხრით და ტიხომიროვის წიგნი მეორე მხრით.

„მნათობის" წინასიტყვაში ჩვენ ვამბობთ: „ჩვენ ვიხელმძღვანელეთ იმ იდეოლოგიური სისტემით, რომელიც დღეს მიღებული პედაგოგიაში: ყმაწვილს ჯერ ვაწვდით ოჯახის, შვილს და ტოლ-ამხანაგობის ცხოვრებიდან ამოღებულ სურათებს; მერმე ბავშვი გაგვყავს ეზოში, ბოსტანში; ბაღში, ვენახში, მინდორში, სოფელსა, ქალაქსა და ტყეში, წყლის ნაპირას, მთაში და სხვ.".

„ჩვენ წინააღმდეგი, ვართ ამ საფეხურზე გავყვეთ იმ სამეცნიერო სისტემატიკის გზას, რომელიც მიღებულია ზოგიერთ რიგიანსა და ცნობილ სახელმძღვანელოშიაც კი; მაგ., ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისი, რომ ყმაწვილები ჯერ ოთხ ფეხ ცხოველებს გავაცნოთ ნადირებამდი, სადაც დათვსა, მგელსა და ლომზეა ლაპარაკი, და შემდეგ დავუწყოთ საუბარი შინაურ ფრინველებზე".

ჩვენ საკმაოდ განვმარტეთ, თუ რისთვის მივიღეთ ის სისტემა, რომელზედაც „მნათობია" აგებული. პირველ საკითხავ წიგნში ჩვენ ეს გზა აუცილებლად მივიჩნიეთ წმინდა პედაგოგიურის მოსაზრებით: ამ საფეხურზე სამეცნიერო სისტემატიკის გზა უარვყავით და როგორ ფიქრობთ, ასე უნდა მოვქცეულიყავით თუ არა?.. ეთანხმება ეს გზა ტიხომიროვის გზას? ეს ტიხომიროვის სისტემა და მისი „ბრმა მიმდევრობაა"?! ჩვენთვის, რასაკვირველია, ბოცვაძის აზრი სავალდებულო არ არის; სახელმძღვანელოების კრიტიკოსისათვის კი სისტემების გარჩევა სავალდებულოა!..

რაც შეეხება უშინსკისა და მისი სისტემის ქართველ მიმდევრებს, ეს თვით პედაგოგიური ლიტერატურის განვითარებამ უარჰყო და დღეს მას ახალი მიმდევარი თითქმის აღარავინა ჰყავს.

ეს, რასაკვირველია, უშინსკი დიდ დამსახურების უარყოფას არ ნიშნავს და ცნობილი პედაგოგის ზოგ სტატიას ჩვენ შესაფერი ყურადღებითაც მოვეპყარით.

„მნათობი" ერთი წლის მასალას შეიცავს; ბოცვაძე კი ბრძანებს,—ორის წლისასაო!

მერე რაზე ამყობს „კრიტიკოსი" ამ მოსაზრებას? თურმე ნუ იტყვით, ამის საფუძვლად მას „მნათობის" შრიფტი მიუღია! ბოცვაძე სწერს:

„მეორე განყოფილებაში მოწაფეებს ეძლევათ საკითხავად ქალაქისა და სოფლის უშნო და ულაზათო აღწერაო" (რასაკვირველია, უშნო და ულაზათო იქნება, რაკი ბოცვაძის ხელდასმითა და კურთხევით არაა დაწერილი!).

საქმე ის არის, რომ „მნათობის" 72 გვერდი მომსხო შრიფტითაა დაბეჭდილი, 73 გვერდიდან კი, სადაც იწყება სტატია „ქალაქი", ჩვეულებრივი ენა არის ნახმარი. ბოცვაძეს კი ჰგონია, ეს არის, აქ იწყება მეორე წლის კურსიო,—და გამარჯვებული კაცის „ფსიხოლოგიის საფუძვლების" ძალით ალბად გვიკიჟინებს:—„რას ამბობთ, ერთი წლისაო, აგერ მე ორი წლის კურსი აღმოვაჩინე და ნუ თუ არ დამეჯერებაო"... ასე რომ იყოს, რამდენაირი შრიფტიც მოგვეპოება, იმდენი წლის კურსს გამოიყვანთ ერთი წიგნიდან!.. „მნათობის" წინასიტყვას: „მეორე ნაწილი ახლო მომავალში გამოიცემაო", მეტად დაუფრთხია ბ. ბოცვაძე და ის შეშინებულივით გაიძახის: „რაღა გამოცემა აკი გამოცემულიაო!.."

გვახსოვს, როდესაც განსვენებულის ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი" იბეჭდებოდა „ივერიაში" ფელეტონებად, ქუთათური მაშინდელი „მოდაშნაკე" სომხები ყოველი ფელეტონის ბოლოში, რადაც ეწერა: „შემდეგი იქნებაო", გულის ფანცქალით ამოიოხრავდენ: „ვა, კიდევ იქნებაო!.."

სწორედ ასეთი „ფსიქოლოგიის საფუძველზე" ასტეხია ბ. ბოცვაძეს გულის „კრთომა" და ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს არის ბ. ბოცვაძის მხრით მართლა შიში „მნათობის" მეორე ნაწილის წინაშე და აქედან წარმომდგარი განზრახ ჩადენილი სიყალბე!..

ბ. ბოცვაძე ბრძანებს: „ანდაზები სტატიების შინაარს არ შეეფერებაო. ბოცვაძე თანახმაა იმისი, რომ როგორც ჩვენ წინასიტყვაშიაც ვამბობთ, ანდაზები მოთხრობების შინაარსიდან გამომდინარეობდეს. „მნათობში" მას ორი ანდაზა მოუძებნია, რომელიც ვითომ მოთხრობის შინაარსს არ შეესაბამება და ამისათვის თავზე კაკალს გვამტვრევს.

ორი საეჭვო შეფარდება დიდ დანაშაულად ჩაგვითვალა, მაგრამ თვით ზვიად ბიბლიოგრაფს როგორ დაემართა, რომ არც ერთი ანდაზა, რომელიც მის მიერ შეპაჩიკებულ დადაენაშია მოთავსებული, მოთხრობის შინაარსიდან არ გამომდინარეობს.

„მნათობის" შემდგენელნი.

(შემდეგი იქნება)

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

40.

ეს საიდუმლო გრძნობა განუყრელად თანა სდევდა აწ აშოტს. იგი გრძნობა თანისთან იზრდებოდა, ფართოდა შლიდა ფრთებს მის ბუნებაში და სჩრდილავდა იქ ყველა სხვა მის სულისკვეთებას. აშოტი უმზერდა ამ გრძნობის ზრდას და უკვირდა, როგორ შეუდრკომლად ჰხრიდა იგი თავისკენ მის ნებისყოფას და ისეთის ძლიერებით, რომ უკუაგდებდა ზრუნვას საოჯახოს, მოღვაწეობას თვით სახელმწიფოს. კიდეც ეშინოდა რაინდს უშიშარს ამ საამო განცდის ესეთის ზრდისა: შეიძლებოდა გრძნობას მთლადაც დაემორჩილებინა ის, ვინ ჯერ არ მომდრკალიყო არვის წინ, ვის ქედმაღლობა არ დახრილიყო მონურად თვით ღვთის წინაშე. ჰხედავდა ვაჟკაცი, იგი გრძნობა და მისგან ნაწევი მოძრაობა ყოველი ეწინააღმდეგებოდა მის ოჯახისადმი მოვალეობას, არყევდა კერას, უარჰყოფდა მცნებას ეკლესიისას, არღვევდა სჯულსა. დარწმუნებული იყო, იგი გრძნობა აამხედრებდა მის წინააღმდეგ ჯალაბს, ეკლესიას ძალშემოსილსა; უკუ-აქცევდა მისგან მთელ ერს ზნე-ამაღლებულს.

მეტადრე ეფიქრებოდა აშოტს ეკლესიის მხრივ, რომელი მასთან ერთად მხარ-და-მხარ იბრძოდა ჯვარით ხელში აგარიანთა წინააღმდეგ, მედგრად ილვწოდა, არ გაედგა საქართველოს ნიადაგში ისლამს ფესვები. ეფიქრებოდა ამ მხრივ აშოტს: სჯულს სათავეში ჩაუდგნენ ამ დროს ძლიერნი ხუცხი, უტეხ ნებისყოფის მქონნი, ყოვლად მსგავსნი და სადარნი მეფის თანამშრომელ სარდლებისა თუ ბჭეებისა ამ მებრძოლ ხუცესთა მოთავედ იდგა შემმართებელი და უდრეკი ადამიანი გრიგოლი, მონასტერთა მაშენებელი ბერი განთქმული, თვით აშოტისაც საფერ სადარი.

გაძლიერებულიყვნენ სამეფოც და ეკლესიაც, გაკაჟებულიყვნენ ბრძოლაში საშინელ მტერთან, რომელი უქადდა მოსპობას სამშობლოს ხორციელად, განადგურებას სულიერადაც; სულ სხვა სახედ გარდაქმნა-გარდაქცევას. აშოტის ხმალი და ხანთძნელის ჯვარი სწორად შეჰგებებოდნენ მოზღვავებულ მტერს. დახრაი ერთის მათგანისა ნიშანი შეიქნებოდა მტრის ზეიმისა; თუნდ მცირედი შერყევა ერთისა სიმტკიცეს შესძენდა მებრძოლთ სიბოროტეს; ერთ-ერთის სხივთა დაბუნდება, თუნდ ჟამიერი ჩანელება სხივოსნობისა, სიამის ელვით შეჰმოსავდა სამშობლოს ჩასანთქმელად პირაშვებულ ვეშაპს.

საკვირველია ადამიანის ცხოვრება! როგორ მოვიფიქრებდი, რომ მე, ტახტის მემკვიდრეს, საქართველოს ბედის ქედაში გვერდით ამომიდგებოდა მამა ჩემის სასახლეში სამოწყალოდ აღზრდილი ობოლი, რომელი იმ თავითვე კალმისა თუ ჯვარის პყრობად ემზადებოდა. მე, ბატონიშვილი, დი ის ვინმე უმწეო, ჩვენის ნასუფრალით გამოზრდილ-გამოკვებილი, აწ თითქო ერთის ხარისხით წავმდგარვართ ერის წინაშე და ვიბრძვით ორივენი, ვგულოვნობთ, შევმართებთ მტერს უჩუმრად, ერთმანეთის აუზრახებლად, სულ სხვადასხვა გზით, გარნა ერთისა და იმავესათვის: ხალხის სადღეგრძელოდ, მის ხორციელ და სულიერ განძთ შესანახად. ვებრძვით ერთმანეთს, უხმოდ ვმეტოქობთ ხალხის სიკეთის შეხვავებაში. ნუ თუ ამ ბრძოლაში დავიჯაბნო მე?! გაიფიქრა აშოტმა, და აღელდა, შეწითლდა, წარბი შეიხარა, მოიღუშა. მოაგონდა თავის მამის ნათქვამი:

— დაიხსომეთ! ეს ობოლი საკუთარის ძალით გაიკვლევს გზას ცხოვრებისას, დაიმორჩილებს ბედს, მიაღწევს დიდს ალმატებას. მისი ნიჭი და უდრეკი ძალა სურვილთა თავდებია ამისი; იმისი უსაზღვრო თავმოყვარეობა წინამძღვარია მისი დიდების გზაზედ; მარად მოფიქრებული მოძრაობა მისი საშუალებაა ძნელ სავალზედ ურყევლად მისი მარები.

მაშინ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ამისთანა წინასწარ თქმას არც სამეფო ოჯახის წევრნი, არც მეფის მახლობელნი. ეხლა უნებლიეთ გაახსენდა ეს აშოტს. აწ გრიგოლის სახელი მარად მკერდით ედგა მას, როცა კი საჭიროება თხოულობდა ძლევამოსილ ისლამთან ბრძოლას სარწმუნოების ნიადაგზედ საქართველოში. ხოლო ეს ბრძოლა ისეთი შეუწყვეტელი იყო და მედგარი, როგორც ომი ხმლით: აგარიანნი ორკერძ იბრძოდნენ საქართველოს დასამონებლად, ხორციელად და სულიერად მის დასაპყრობად. მოსწონდა აშოტს, რომ მტერთან სულიერ ბრძოლაში გვერდით ედგა უტეხი ნებისყოფის ადამიანი, რომელი არ გადრკებოდა, არც გვერდს აუქცევდა თვის მოწოდებას. გრიგოლი აქ ღირსეული თანამშრომელი იყო აშოტ დიდისა. სჯულთა ამ მედგარ ბრძოლაში. მეფეს შეეძლო მთლად დაჰნდობოდა სარდალს სულიერს. ხალხიც აღტაცებით იხსენიებდა გრიგოლის სახელს, იმასა ჰსახავდა მებრძოლ დარაჯად ეკლესიისა და არა არსენს ფრიად განსწავლილს, მეტად ქრისტიანს, ქათალიკოზს დობილს, მტრისაც მოყვარულს.

მაგრამ მეფე კერძო პიროვნებად იყო, საკუთარ თვითმოყვარეობას მექონი, საკუთარ სურვილთა მსახველ-მხატველი და ამ მხრივ თითქო შიში რამ იპყრობდა ხალხის ჰირისუფალს გვირგვინოსანს: ეფიქრებოდა, ბერის ძლიერს და უტეხ მოღვაწეობას, მის შეუდრეკელ წინსვლას სარწმუნოებისა და ზნეობის შარაზედ არ დაეჩრდილა აშოტის სახელი მორწმუნე ხალხის თვალში; ვინმე მწთარი უგვირგვინო მეფედ არ მოჰვლენოდა ერს ცხებულის გვერდზედ, დიდების შარავანდედით შუბლ შემკობილად. მაშინ ასრულდებოდა წინასწარი თქმა მეფე ნერსესი.

ესეთი შური ბალღობიდანვე ზარზნიდა აშოტის გულს, ჩვეულს პატივისა თუ სიდიდისა. სეფეწულს ეჩოთირებოდა დიდი პატივი ხალხისაგან მიპყრობილი იმ ობლისადმი, რომელი სამადლოდ იზრდებოდა მეფის კარს, თუმცა არც თუ ძლიერ შორეული იყო ის აშოტისა: ბიძაშვილი იყო მისი, დედის ძმისწული, დედოფლისაგან შვილობილად სახელდებული. უყვარდა აშოტის დედას თვისი შვილობილი, უკვირდა მისი განსხვავებული ზნე თუ ქცევა. სხვებიც ყურადღებას აქცევდნენ მარად მშრომელ ბალღს საკვირველად ნიჭიერს, რომელი ჰხიბლავდა ყველას თავისი ცოდნით, მეტადრე როცა ღვთისმსახურების დროს გამოჰფენდა თვის სწავლას თუ წვრთნილებას.

— რა მშვენივრად კითხულობს! გარკვევით, ურყევლად, მჭევრად. საკვირველია, როგორ დაისწავლა ამ ბალღმა ამოდენა საეკლესიო წიგნები ან როდის.

— დახე! არავითარი ჩვენება არ უნდა, წესი თვით ხუცეზედ უკეთესად იცის.

— ხმაც რომ კარგი აქვს! მამწონს მაგის გალობის კილო. ვინა სწრთვნის მაგ დალოცვილის შვილს ეგრე მშვენივრად?

— ბერმონაზონის კასიანე ახელმძღვანელებს დედოფლის ბრძანებით. მაგრამ არავითარი დახმარება არ ეპირვება. ძალიან უყვარს წიგნი. საკვირვლად იხსომებს წაკითხულს თუ მოსმენილს.

— ამბობენ, საშოთგანვე დედისა შეწირულ არის ღმრთისადმი, ვით წინასწარმეტყველი სამოელი; მადლი უფლისა განისვენებსო მასზედ. სასახლეში ვახლავარ მეფეს და ვიცი მაგ ბავშვის ცხოვრება: მარხვასა შინა იზრდების მზგავსად წინამორბედისა; ღვინოს და ხორცს არ შეხებია ბაგე მაგისი; თავისუფალია ბალღურ მღერისა თუ ლაღობისაგან; განმარტოებით იმყოფების თვისსა სადგურსა; მხოლოდ წიგნია მის მეგობარნი.

— აკი ეხლავე დაყუდებულს ეძახიან. ყმაწვილია ჯერეთ, გარნა ხატი მონაზონობისა ჰმოსია მას. ქრისტესა განუკუთვნა სული თვისი სამკვიდრებელად.

— ჩემს მოწაფეზედ უბნობთ, დედოფლის შვილებზედ?

— დიაღ! ძალიან მოგვწონს.

— საკვირველი ბავშვია სასწაულებრივი ნიჭისა. განსაცვიფრებელია მისი სწავლისადმი გულისხმიერობა: მსწრაფლ დაისწავლა ზეპირ დავითნი და ხმით სასწავლო სწავლათ საეკლესიო, ყოველივე სამოძღვრო და ღვთისმეტყველობა ქართულს ენაზედ. მწიგნობრობაცა ისწავლა მრავალთა ენათა. სალმთო სამღთოდ გასაგონი ყოველივე დაისწავლა. სიბრძნეცა იგი ამა სოფლისა ფილოსოფოსთათ შეითვისა.

— ესე ახასიათებდნენ გრიგოლს. სხვანაირი მსჯელობა არ შეიძლებოდა მასზედ, ჰეშმარიტი იყო მათი ნათქვამი. აშოტმა იცოდა, რა აზრისა იყვნენ გრიგოლზედ მისი დედ-მამა თუ კარისკაცნი. თავმოყვარე ბალღს აქეზებდა გრიგოლის ესეთი წარმატება, შრომისაკენ იწვევდა იმასაც. სამხედრო თუ სამეფო საცოდნელში ჰსურდა ისეთივე ქება დაემსახურებინა, როგორიც დაიმსახურა გრიგოლმა წიგნში. ადვილადაც ახერხებდა ამას: ნიჭი დიდი ჰქონდა, ხოლო მძლავრი აგებულობა და საკისკასე ტანისა საშუალებას აძლევს სავსებით შეეთვისნა სარაინდო წვრთნა თუ სამეფო სწავლა. შთამავლობით რომ მზეებრ ბრწყინავდა აშოტი, ნიჭთა სიმდიდრითაც პირველობდა ტოლსწორში და მის თავმოყვარეობას საშიში არა ჰქონდა რა, არც თუ საფრთხილო.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

12

აპრილი

„საქართველოს"

რედაქციის

მხატვრული საღამო

სურათები, საუკეთესო

შარჟები, არტისტიული

ახალი სანახაობა ქალების კონცერტი

პოლიტიკური და ლიტერატურული

თბილისი საღამოს კედლებზედ.

დიასახლისი: ქ-ნი ნინო გვაზავა.

პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟში მაღაზია № 20
გაიხსნა სპეც. საათების, საიუველირო და საჩუქურთმო
სახელოსნო
ყოფილ სამხედრო მესაათის
მიხეილ ნიკოლოზის ძე გენკინისა.
ყოველი შეკვეთილი საქმე კეთდება საჩქაროდ, სუფთად და ხელმისაწვდომ ფასებში. 5—45—2

ქართული აქციონერულ საზოგადოების „ოქროს ვერძი"-ს გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას ამა წლის 4 მაისს, დილის 11 საათზე, გამგეობის დარბაზში (ქ. ფოთი, ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე, ციციაშვილების სახლი) დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:
1) წესდების § § 4, 6, 8, 12, 17, 26, 32, 41 და 57 შეცვლა.
2) განხილვა წლიური ანგარიშისა და დივიდენდის განაწილება.
3) გამგეობის ორი წევრის არჩევა.
ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ თუ რაიმე მიზეზით დანიშნულ დღეს, 4 მაისს, კრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში კრება უნდა ითვლებოდეს მოწვეულათ იმავე დროზე და ალაგას მეორეთ, კვირას 18 იმავე მაისს.—
(2—2266—2)

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მონსე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—33

სტამბა კოოპერაციისა, გაზეთის შესახვევი № 4.